

საფლავი A4



ლონდონური Charity Ball თბილისური ფინალით A5



რუსთავი-2", პროექტი „ბარი„ A8


www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 29 ოქტომბერი, 2005 წელი. №240 (1100) | ფასი 50 თეთრი


# შეკითხვები და შეუსრულებელი დაპირებები სამხედრო გაწვევის წინ

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის„

*განვლილი კვირის დასაწყისში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საყოველთაო სამხედრო გაწვევის საშემოდგომო კამპანია დაიწყო, თუმცა რაც დრო გადის, სამხედრო გაწვევა სულ უფრო ნაკლებ "სავალდებულო" ხდება. არმიაში, პრეზიდენტ სააკაშვილის არაერთი მოწოდების მიუხედავად, არ ჩანან მთავრობის წევრთა და პოლიტელიტის წარმომადგენელთა შვილები.*

საშემოდგომო სამხედრო გაწვევა საქართველოში თითქმის ერთსა და იმავე დროს, ოქტომბრის შუა რიცხვებში იწყება და 30 დეკემბრამდე გრძელდება. ეს ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა, თუმცა, მიმდინარე გაწვევის უმნიშვნელო გეგმიდან გამომდინარე, ვადები შესაძლოა, შემჭიდროვდეს. პრეზიდენტის ბრძანებით, გამწვევმა საქალაქო სამსახურებმა სამხედრო ძალები 1900 ახალწვეულით უნდა უზრუნველყონ, რაც საერთო გასაწვევი რესურსის 2 პროცენტსაც არ შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ არმიაში ყველა მსურველისთვის ადგილი არც ამჯერად გამოინახება. უარის თქმის გამო კი, როგორც გაწვევის განყოფილების ერთმა მუშაკმა გვითხრა, ახალგაზრდები ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ, რომელიც სამხედრო სამსახურს სავალდებულოდ მიიჩნევს.

**"მომაწყდა ხალხი და ჩიოდა, ჯარში რატომ არ მიგყავართო. შე დალოცვილო, შტატი, მოთხოვნა არ მაქვს და სად წაგიყვანო-მეთქი? და მოვაბრუნე ხალხი უკან, 600 კაცამდე, შემკრები პუნქტიდან. იყო ერთი წივილკივილი,"** - უთხრა ინკოგნიტო წყარომ "24 საათს".

სამხედრო გაწვევის გეგმის "დაწევა" გამოიწვია გაწვევის რესურსის ყველაზე დიდი დამკვეთის - თავდაცვის სამინიტროს უარმა, რომელმაც წინა გაწვევაზე 5000 ჯარისკაცი მიიღო და ახალზე მოთხოვნა აღარ აქვს. თანაც, გაწვევის კანონში უმრავლესობის ინიციატივით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამხედრო სამსახურის ვადა საქართველოში ერთი წლიდან წელიწადნახევრამდე გაიზარდა. შესაბამისად, სამხედრო გაწვევის ორგანოებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია ერთიანობას ზეიმობს

ნინო გომართელი

*რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტში ოფიციალურად ჩამოყალიბებულმა ოპოზიციურმა ფრაქციამ "დემოკრატიული ფრონტი", დაარსებასთან დაკავშირებით, გუშინ მიღება გამართა. მოწვეულ სტუმრებს შორის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ქვეყანაში აკრედიტებული ელჩები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მთელი ოპოზიციური სპექტრი იყო.*

**"ჩვენ ვიქნებით ძალიან კონსტრუქციულები და ძალიან რადიკალურები,"** - ასეთია ახალი ოპოზიციური ძალის ლოზუნგი. კონსტრუქციულობის გამოჩენას ისინი არა ხელისუფლების, არამედ დემოკრატიის იდეალების და პრინციპების მიმართ აპირებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე



*ახალ ოპოზიციურ ფრაქციას პარლამენტის თავმჯდომარე ესტუმრა.*

# ვოლკერმა დამნაშავეთა გვარები დაასახელა

ნანა ნასყიდაშვილი

*გაერო-ს ჰუმანიტარულ პროგრამაში "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" არსებულ დარღვევათა კვლევა საბოლოოდ დასრულდა და პოლ ვოლკერის კვლევითმა ჯგუფმა, რომელიც დამოუკიდებელი ექსპერტებითაა დაკომპლექტებული, ხუთშაბათს გაერო-ს შესაბამისი, რიგით მეხუთე ოქმი წარუდგინა. კომისიის მიერ შედგენილ დოკუმენტში დასახელებულ დამნაშავეთა შორის ცნობილი კომპანიები და პოლიტიკოსები არიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ვოლკერის კომისიის ანგარიშში ჩამოთვლილი კომპანიები იმ ქვეყნებიდანაა, რომლებიც ერაყში შეჭრას ეწინააღმდეგებოდნენ.*

## ამბები

### საქართველომ აზერბაიჯანი დაასაჩუქრა, აშშ კი საქართველოს დაასაჩუქრებს

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აზერბაიჯანელები წინასაარჩევნოდ დაასაჩუქრა - მარკირებისთვის საჭირო 98 258 ლარის ღირებულების ინვენტარი (მარკირების ჩასატარებელი 3 417 ცალი დეტექტორი, 8 400 ელემენტი და 11 145 ფლაკონი სპეციალური სითხე) აჩუქა.

A2

## ამბები

### სახალხო დამცველის რწმუნებული პოლიციის მიერ ჯარისკაცთა წამების ფაქტზე რეაგირებას ითხოვს

ჯავშანსატანკო ბატალიონის N15/248-ის კონტრაქტორი ჯარისკაცების პოლიციაში ცემისა და წამების ფაქტზე სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისი პროკურატურისგან რეაგირებას ითხოვს.

A2

## ამბები

### პარლამენტში დეპუტატების როტაცია მიმდინარეობს

სპიკერის ახალი სავარაუდო მოადგილის მიმართ საპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ ლოიალურია. აღასანიშნავია, რომ დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა ჯემალ ინაიშვილს გუშინ პირველმა დავით ბერძენიშვილმა მიულოცა.

A3

## ამბები

### კავკასიის პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში სასტუმრო "თბილისი მარიოტში" აზია-წყნარი ოკეანის და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბიზნესმენები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დადებითი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს განიხილავდნენ.

A3

## ამინდი

| | 29/10 | 30 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 8 |
| ტყიბული | 14 | 11 |
| სოხუმი | 15 | 11 |
| გორი | 10 | 5 |
| ონი | 8 | 2 |
| ზუგდიდი | 16 | 14 |
| ახმეტა | 14 | 8 |
| სამტრედია | 16 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1685 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1915 |
| რუბლი | 0.0631 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# მეხმა ნახევარი იმერეთი ჩააბნელა

გუშინ დილით ქვესადგურ "პატარა ზესტაფონში" 25-მეგავატიან N1 ტრანსფორმატორს მეხი დაეცა, რის გამოც ავარიულად გაითიშა 35-მეგავატიანი ამომრთველი და დაიწვა ტრანსფორმატორი. ავარიის შედეგად ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყდა ზესტაფონს, ზესტაფონის რაიონის ნაწილს და ხარაგაულის რაიონს.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის თანამშრომლებმა სარემონტო სამუშაოები ოპერატიულად დაიწყეს, თუმცა მომხდარი ავარიის სირთულის გამო ტრანსფორმატორის ჩართვა დაგვიანდა. ამიტომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სადისპეტჩერო სამსახურმა ხარაგაულში ელექტროენერგიის მიწოდება შემოვლითი სქემებით - წევისა და მარელისის ქვესადგურებიდან განახორციელა. დაზიანებული ტარნსფორმატორის ჩახსნის შემდეგ აღდგა ზესტაფონის ენერგომომარაგებაც.

ასევე, მეხის ჩამოვარდნის გამო გუშინ, დილის 6.30 საათზე ავარიულად გაითიშა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები "ბაში 1" და "ვარციხე 35". მომხდარის გამო ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყდა სამტრედიის რაიონის ნაწილს და ვანის მომსახურების ცენტრს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, დაახლოებით 9.20 სთ-ზე აღნიშნული გადამცემი ხაზები კვლავ ჩაირთო და რაიონებს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა.

*24 საათი*

# საკრებულოს უმცირესობა მოედნების გაყიდვის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა

*"26 მაისისა" და "რესპუბლიკის" მოედნები მუნიციპალური საკუთრებაა და მათი გაყიდვის უფლება არავის აქვს. არსებობს პრივატიზაციის შესახებ კანონი, სადაც წერია, რომ ქუჩები, სკვერები და მოედნები პრივატიზაციას, გაჩუქებას და გაყიდვას არ ექვემდებარება," - ასეთი განცხადება გუშინ ფრაქცია "ახლების" თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც საკრებულოს წევრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის 29 სექტემბრის განკარგულება გააცნო. განკარგულების მიხედვით, რესპუბლიკის მოედნისა და მის მიმდებარედ არსებული 14 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით შპს "ახალ სასტუმროს" საკუთრებაში გადაეცა.*

თამარ დვალი

**"ჭიაბერაშვილმა გაგვილანძღა ქართლის დედა, ახლა ჯორჯ უგულავა-სოროსის ჯერი დადგა და ის დავით აღმაშენებელს უცხადებს ბრძოლას,"** - ასე მიიჩნევს ფრაქცია "ლეიბორისტების" ლიდერი გიორგი გუგავა, რომელმაც საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე ქალაქის მერის იმპიჩმენტის საკითხი დააყენა. ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლები გუშინ უმრავლესობაში მყოფ დეპუტატებს იმაშიც ადანაშაულებდნენ, რომ მათი დამსახურებით, საკრებულო სრულიად უფუნქციო ორგანო გახდა და ქალაქთან დაკავშირებული ყველა საკითხი საკრებულოს გვერდის ავლით, უგულავას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით წყდება.

როგორც ფრაქცია "ახლების" ლიდერი გიორგი მოსიძე აცხადებს, მას ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს, იგი მთავრობის თვითნებურ გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება.

**"უგულავას ძალისხმევით მიმდინარეობს მუნიციპალური საკუთრების გასხვისება, გაყიდვა. არავის აქვს უფლება, რესპუბლიკის მოედანი გაყიდოს, მათ შორის, არც პრემიერ-მინისტრს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# 80 500 ევრო ექსტრადირებული ჩეჩნების სასარგებლოდ

## ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლების საჩივარი არ დააკმაყოფილა

*ევროსასამართლოს დიდმა პალატამ, რომლის შემადგენლობაშიც 5 მოსამართლე შედიოდა, "საქართველოს წინააღმდეგ" კიდევ ერთი, საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.*

საქართველოს მთავრობამ გაასაჩივრა ევროსასამართლოს მიერ 12 აპრილს, საქმეზე - "შამაევი და 12 სხვა ჩეჩენი პატიმარი საქართველოსა და რუსეთის მთავრობების წინააღმდეგ", გამოტანილი გადაწყვეტილება.

რამდენიმე თვის წინ მიღებული გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებელთა მოთხოვნა - უკანონოდ ცნო ჩეჩნების დაკავებისა და რუსეთში ექსტრადირების ფაქტი და მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის რამდენიმე მუხლი, რის გამოც, საქართველოს მთავრობა ფინანსური სანქციით დააჯარიმა. საქართველოს მთავრობამ მიყენებული ზარალისთვის ჩეჩენ პატიმრებს 80 ათას 500 ევრო უნდა გადაუხადოს. გარდა ამისა, საქართველოს ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს სასამართლო ხარჯებიც - 4 ათასი ევრო. რუსეთის მთავრობამ კი პატიმრებს უნდა გადაუხადოს 42 ათასი ევრო და 2 ათასი ევრო სასამართლო ხარჯებისათვის.

ჩეჩენი ეროვნების პატიმრების ინტერესებს ევროსასამართლოში ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები ლია მუხაშავრია და ნანა კიწნურაშვილი იცავდნენ. "42-ე მუხლისადმი" გამოგზავნილ წერილში ევროსასამართლო მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელია ევროსასამართლოს მინისტრთა კომიტეტი და სახელმწიფოებს ავალებს თანხის დროულად გადახდას. ევროსასამართლოს პროცედურების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია დაკისრებული თანხა დაზარალებულს გადაუხადოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 თვის ვადაში, ყოველ გადაცილებულ დღეზე ხდება ჯარიმის დაკისრება. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ გადაიხდის დაკისრებულ თანხას, მისი ევროსაბჭოდან გარიცხვის საკითხი დგება.

ადვოკატ ლია მუხაშავრიას განცხადებით, ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ფრანგმა მოსამართლემ ჟან პოლ კოსტამ ჩეჩნების საქმე იმ დროისათვის ევროსასამართლოში შესულ საქმეთა შორის ყველაზე მძიმედ დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ 13 ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე 2002 წლის 4 აგვისტოს გირევის საგუშაგოზე დააკავეს. მათგან ხუთი, რუსეთის ფედერაციას უკანონოდ გადაეცა. **"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ სტრასბურგში დაახლოებით 50 საქმეა გაგზავნილი.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# უცნობი თავისუფლება

*პროგრამა "უცნობი თავისუფლება" რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 13-დან 14 საათამდე. გუშინ სტუდიის სტუმარი იყო სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა.*

**გიორგი ხაინდრავა:** ვფიქრობ, უკანასკნელ დღეებში ძალიან სერიოზული გარღვევა მოხდა კონფლიქტებთან დაკავშირებით. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ის გეგმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ კიდევ გაეროს 59-ე ასამბლეაზე წარმოადგინა, შემდეგ ამასთან დაკავშირებით იყო სტრასბურგის გამოსვლა... და როგორც შედეგი, ბათუმის კონფერენცია, სადაც ე. წ. "საგზაო რუკა" წარმოვადგინეთ განსახილველად. ეს შეთავაზება იყო როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ისე ჩვენი პარტნიორებისთვის... ჩვენ დაახლოებით თვენახევარი ველოდეთ იმ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო და იყო კიდეც, შემდეგ მოხდა უშიშროების საბჭოში დახვეწა ამ დოკუმენტის. ზურაბ ნოღაიდელმა ეს დოკუმენტი წარმოადგინა ვაშინგტონში, სადაც მან მხარდაჭერა მოიპოვა. და გუშინ ვენაში 50 ქვეყნის წარმომადგენელმა, როგორც ვიცი, ერთხმად მოიწონა...

**ალექსანდრე ელისაშვილი:** როგორც ითქვა, რუსეთმა მხარი არ დაუჭირა.

**გიორგი ხაინდრავა:** ჩემი აზრით, საეტაპო ერთობლივი საკონტროლო კომისიის სხდომა იყო მოსკოვში, იმიტომ რომ ჩვენ მოვაწერეთ დოკუმენტს ხელი, და ამ დოკუმენტს აწერს ხელს ამ პროცესის ყველა მონაწილე. ეს არის რუსეთი, საქართველო, ჩრდილო ოსეთი, ცხინვალის წარმომადგენელი... დოკუმენტს, სადაც წერია, რომ სამშვიდობო პროცესის საფუძვლად უნდა დაიდოს პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წარმოდგენილი სამეტაპიანი გეგმა, რომელიც გენასამბლეაზე იყო გამოქვეყნებული და შემდეგ ის სახე მიიღო, რა სახეც დღეს აქვს, და რაც დაურიგდა ჩვენს პარტნიორებს ამ პროცესის შიგნით. მე ვთვლი, რომ ეს არის გარღვევა ჩვენს ურთიერთობებში, მართალია ჯერჯერობით მხოლოდ საბუთებში. ჩვენი პრეტენზია შსკ-ს მუშაობისადმი სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ბევრ კარგ დოკუმენტს ვაწერთ ხელს, მაგრამ მათი რეალიზება არ ხდება. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჩვენ დღის წესრიგში დავაყენეთ შერეული საკონტროლო კომისიის რეორგანიზაცია... ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მოგვცემს გარანტიას, რომ ხელმოწერილი დოკუმენტები განხორციელდება. ამას გულისხმობს რეორგანიზაცია, ამას გულისხმობს ახალი მოთამაშეების გაჩენა. იმისთვის, რომ არ იყოს პრივატიზირებული პროცესი. დღეს რუსეთი არის მოსამართლე, არის ბრალმდებელი. ამიტომ მე ვთვლი, რომ ამერიკის და რუსეთის თანამშრომლობა ძალიან სერიოზული პროცესის დასაწყისი იქნება. და ეს უკვე სახეზეა, ისევე როგორც საქართველო-ამერიკის ურთიერთობა და, გარდა ამისა, ვთვლით, რომ ეუთოს როლი უნდა გაიზარდოს, სრული ხმის უფლება უნდა მიეცეს შერეულ საკონტროლო კომისიაში, ისევე როგორც ევროკავშირს, რომელიც არის ძირითადი დონორი და ძირითადი მხარდამჭერი იმ პროგრამების, რასაც რეაბილიტაცია და ეკონომიკური განვითარება ჰქვია.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** და შეიცვლება კი ეს ფორმატი?

**გიორგი ხაინდრავა:** მე დარწმუნებული ვარ, რომ შეიცვლება. მინდა ყველას კარგად ახსოვდეს, რომ საკითხი ეხება საქართველოს. ეს არის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ტერიტორია, გვაჩნია სუვერენიტეტი და უფლება. საერთაშორისო სამართლის ნორმები არსებობს. ამიტომ, თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენი არ ესმით და ჩვენი პრინციპული პოზიციის მხარდაჭერა არ არის, მაშინ ჩვენ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, როგორსაც ნებისმიერი ქვეყანა მიიღებს ჩვენს ადგილზე, ანუ ჩვენ თვითონ შევეცდებით იმ გზით განვახორციელოთ ეს პროცესი, რა გზითაც ჩვენ მიგვაჩნია მართებულად.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** და როგორ? რა შეიძლება გავაკეთოთ?

**გიორგი ხაინდრავა:** პირველ რიგში, მე უკვე ვთქვი, რომ აშშ-მ გამოაცხადა მზადყოფნა, აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში. მე ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული მოვლენაა. ვიმეორებ, რომ ამ სფეროში რუსეთის თანამშრომლობა ამერიკასთან წარმატების ძალიან სერიოზული საწინდარია. და, გარდა ამისა, ჩვენს გეგმებს მხარს უჭერს საერთოდ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა, პირველ რიგში ეუთო, რომელიც 55 ქვეყანას აერთიანებს. ასე, რომ მე არა მგონია, რომელიმე ერთმა აზრმა გადაწონოს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი.

# აფხაზების მიერ მიღებულ კანონს საქართველოს პარლამენტში აკრიტიკებენ

გიორგი ასანიშვილი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ "მოქალაქეობის შესახებ" კანონის მიღებას საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ მკაცრი შეფასებები მოჰყვა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი განსაკუთრებულ აღშფოთებას კანონის იმ მუხლის მიმართ გამოთქვამს, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობის მიღებაა შესაძლებელი.

**"ეს არის იმ ეთნოწმენდის გაგრძელება, რომელიც ეუთო-ს სამიტების მიერ ოფიციალურად არის აღიარებული,"** - აღნიშნავს კოტე გაბაშვილი.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ "მოქალაქეობის შესახებ" კანონის დენონსაციას აზრი არა აქვს, რადგან ის ისედაც უკანონოა.

**"აფხაზ პარლამენტარებს იმის კომპეტენციაც კი არა აქვთ, რომ კანონი საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით დაწერონ. ცხადი ხდება, რომ აფხაზი პოლიტიკოსების რეალური მიზანი აფხაზეთის რუსეთის გუბერნიად გადაქცევაა და არ მითიური დამოუკიდებლობა, რის დეკლარირებასაც ისინი ახდენენ,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ "მოქალაქეობის შესახებ" კანონის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი უახლოეს მომავალში განცხადების მომზადებას გეგმავს.

# ალექსიშვილმა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესებში ცვლილებები შეიტანა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესებში ცვლილებები შეიტანა.

ცვლილებები "საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ" და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე მომზადდა.

"საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემა", ახალი წესის შესაბამისად, სპეციალურად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავდება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის, საბაჟო, საგადასახადო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები.

ფასების მონაცემთა სისტემის დამტკიცება და მისი არაუგვიანეს სამ თვეში ერთხელ განახლება საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული აქტით განხორციელდება.

ამასთან, "საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემა" გამოყენებული იქნება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის დადგენის დროს. თითოეული ფასი მკაცრად უნდა იყოს მიმართული კონკრეტული საქონლისადმი.

ფინანსთა მინისტრმა წესთან ერთად "საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემთა სისტემის" ფორმაც დაამტკიცა. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველომ აზერბაიჯანი დაასაჩუქრა, აშშ კი საქართველოს დაასაჩუქრებს

ნანა ქადაგიშვილი



*საჩუქარი საქართველოში აზერბაიჯანის ელჩმა მიიღო.*

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აზერბაიჯანელები წინასაარჩევნოდ დაასაჩუქრა - მარკირებისთვის საჭირო 98 258 ლარის ღირებულების ინვენტარი (მარკირების ჩასატარებელი 3 417 ცალი დეტექტორი, 8 400 ელემენტი და 11 145 ფლაკონი სპეციალური სითხე) აჩუქა.

6 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის აზერბაიჯანის მთავრობამ მარკირების აპარატების სრული რაოდენობით შეძენა ვერ მოახერხა და დახმარება საქართველოს სთხოვა (აზერბაიჯანში მარკირება პირველად ტარდება). ჩვენმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც, რაც კი ნორმალურ მდგომარეობაში შემორჩენილი აპარატი ჰქონდა, გუშინ აზერბაიჯანის ელჩს რამიზ გასანოვს დაუნანებლად და უსასყიდლოდ გადასცა. თუმცა, როგორც ცენტრალური სარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე აცხადებს, მომავალ არჩევნებზე მარკირების აპარატების საკმარისი რაოდენობა მაინც გვექნება. საქართველოს აზერბაიჯანისთვის გაწეული სიკეთის საფასურს ამერიკის შეერთებული შტატები გადაუხდის და მარკირების აპარატებს უსასყიდლოდ გადმოგვცემს.

ამასობაში, სანამ ცესკო-ს ხელმძღვანელობა აზერბაიჯანის ელჩს ხვდებოდა, "კონსერვატორებმა" ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ მორიგი სარჩელი (ამჯერად, საოლქო სასამართლოში) შეიტანეს. ცესკო-მ ქობულეთის საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება 5 ოქტომბრამდე ვერ მოახერხა, რადგან "კონსერვატორებმა" არჩევნების შედეგები თავიდანვე გაასაჩივრეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა და 25 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქობულეთში ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმის თანახმად, "ნაციონალების" კანდიდატმა კობა ხაბაზმა გაიმარჯვა, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. "კონსერვატორებმა" კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენეს და ცესკო-ს გადაწყვეტილება, სამი დღის ვადაში, საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. ასე რომ, ქობულეთის დეპუტატის სავარძელი საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე თავისუფალი რჩება.

# საკრებულოს უმცირესობა მოედნების გაყიდვის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა

პირველი გვერდიდან

**კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, არავინაა უფლებამოსილი პირი, მიწა პირდაპირი განკარგვის წესით გასცეს. აქ არის სატრანსპორტო მაგისტრალი, სხვა კომუნიკაციები და ეს სპეციალისტების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. როგორ შეიძლება ცენტრალური მოედანი გადავიდეს კერძო მესაკუთრის ხელში? თუ ასეთი რამ დასაშვებია, მაშინ რუსთაველის პროსპექტიც გავყიდოთ,"** - აცხადებს მოსიძე. მისივე თქმით, საჭიროა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ რისი გაკეთება იგეგმება რესპუბლიკის მოედანზე.

ოპოზიციამ რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებული საკითხების დღის წესრიგში დაყენება სცადა, თუმცა უმრავლესობა მათ ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა.

**"იმისათვის, რომ რაიმე საკითხი დღის წესრიგში დააყენოთ, მანამდე მისი განხილვა კომისიაზე უნდა მოხდეს. დღეს თქვენ გინდათ იპოპულისტოთ და ხალხს დაანახოთ, რა "მაგრები" ხართ. უმრავლესობა მაინც იმას გააკეთებს, რაც უნდა,"** - განაცხადა ოპოზიციის მოთხოვნაზე საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა.

მოსიძის განმარტებით, მათ ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება იმ მიზეზის გამო ვერ მოახერხეს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ახლახან ჩაუვარდათ ხელში.

საკრებულოს დეპუტატები დღეს კიდევ ერთმა გარემოებამ აღაშფოთა - თავისუფლების მოედანზე ზურაბ წერეთლის მონუმენტის დადგმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მათ გიგი უგულავას სატელევიზიო ბრიფინგიდან შეიტყვეს.

**"იმ საკითხების შესახებ, რაზეც საკრებულომ უნდა იმსჯელოს, ინფორმაციასაც კი არ ვფლობთ. დღესაც იგივე განმეორდა. საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალაქის პრემიერმა და მერმა თავისუფლების მოედანზე ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, საიდანაც შევიტყვეთ, რომ ახლო მომავალში ქალაქის ცენტრში ზურაბ წერეთლის მიერ ჩამოსხმული სკულპტურა უნდა დაიდგას,"** - აღნიშნა საკრებულოს დეპუტატთა ერთმა ნაწილმა.

უმრავლესობასა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის დაპირისპირების შედეგ, ოპოზიციამ საკრებულოს სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ დღის წესრიგში არსებული საკითხების დამტკიცება ორ წუთში შეძლო.

საკრებულოს №5-1 გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 40-კაციან სამაშველო ჯგუფს ერთდროული ფინანსური დახმარების სახით 4 800 ლარი გამოეყო. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულმა სამაშველო ჯგუფმა თბილისში, ონაშვილის №9-ში მდებარე ჩამონგრეული კორპუსიდან მოსახლეობა გამოიყვანა.

საკრებულოს გადაწყვეტილებითვე, თბილისის ბიუჯეტიდან 9 890 ლარი სპორტის სასახლის არენდისათვის გამოიყო. აღნიშნული თანხა კოტე მახარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მინიფეხბურთის მეხუთე საერთაშორისო ტურნირს მოხმარდება.

# ოპოზიცია ერთიანობას ზეიმობს

პირველი გვერდიდან

ფრაქციის თავმჯდომარის დავით ზურაბიშვილის განცხადებით, ეს ის იდეალებია, რომელიც "ვარდების რევოლუციის" დროს ადამიანებს ამოძრავებდათ. რაც შეეხება რადიკალურობას, "დემოკრატიული ფრონტი" გვპირდება, რომ იქნება ძალიან კრიტიკული და რადიკალური ყველაფერ იმის მიმართ, რასაც დემოკრატიისგან გადახვევა ჰქვია.

ახალი გუნდისთვის ასევე პრიორიტეტულია როგორც პარლამენტს შიგნით, ისე მის მიღმა, სხვა ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობა და, რაც მთავარია, სამოქალაქო საზოგადოებასთან სიახლოვე - ეს ხომ ის ხალხია, ვის ინტერესებსაც დეპუტატი უნდა წარმოადგენდეს - აღნიშნა მისასალმებელ სიტყვაში დავით ზურაბიშვილმა.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე "დემოკრატიული ფრონტის" შექმნას მხოლოდ მიღებაზე გამოცხადებით მიესალმა. ეს იყო მის მიერ მანამდეც არაერთხელ თქმულის დადასტურება, რომ ახალი ფრაქცია, რომელიც, ძირითადად, ორ ძალას - "კონსერვატორებსა" და "რესპუბლიკელებს" აერთიანებს, კონსტრუქციული ოპოზიცია იქნება.

"მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები"-ს ლიდერმა დავით გამყრელიძემ ჩვენთან საუბარში კმაყოფილება გამოთქვა პოლიტიკური სიახლის მიმართ. **"აწი ორი ფრაქციის ფორმატით ჩვენ ერთად ვიმუშავებთ,"** - აღნიშნა მან.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია. სანამ სახელისუფლებო გუნდით დაკომპლექტებული, თუმცა უმრავლესობაში ოფიციალურად გაუფორმებელი ფრაქცია "მაჟორიტარები" არსებობს, ოპოზიციას უმცირესობის ჩამოსაყალიბებლად საჭირო დეპუტატთა რაოდენობა არ ეყოლება.

სამართალი

# 80 500 ევრო ექსტრადირებული ჩეჩნების სასარგებლოდ

პირველი გვერდიდან

**თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ევროპის სასამართლოში საქმის წარმოება ჩვენი თვითმიზანია. ჩვენი მიზანია, ქვეყნის შიგნით მოხდეს ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის დანერგვა. ამ კუთხით ორგანიზაციის მიერ ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ პროცესს თავად სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა შეუწყონ ხელი. ბრალდების მხარე და მოსამართლეები უნდა გათავისუფლდნენ სტერეოტიპული აზროვნებისა და სახელმწიფო ზეწოლისაგან, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ და იხელმძღვანელონ ევროსასამართლოს პრეცედენტებით, რაც ქვეყანას წაადგება, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით,"** - აცხადებს ლია მუხაშავრია.

# ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის კონსტანტინე კორკელიას ხელმძღვანელობით, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში იმყოფებოდა, სადაც გამართულ შეხვედრებზე ორი საკითხი განიხილეს - აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა და პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარება. ვიზიტი გაგრძელებაა სტრასბურგში 2005 წლის მაისში იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას ვიზიტისა, რომლის დროსაც ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან განხილული იქნა აფხაზეთის საკითხი.

კონსტანტინე კორკელიას განცხადებით, მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისართან ჰილ რობლესთან, სადაც დეტალურად განიხილეს აფხაზეთის საკითხი. **"აფხაზეთში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დამცველი უმაღლესი კომისარისთვის ნაცნობია. ევროსაბჭო ინფორმირებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ამ ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელების მექანიზმი. ჩვენ ვისაუბრეთ აფხაზეთის ციხეში მყოფი პატიმრების მამასახლისისა და ნანავას მიერ ევროსასამართლოში გაგზავნილ საჩივრებზე, რომელიც მათ უკანონო პატიმრობას ეხება. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რომ პატიმრების გათავისუფლებას მიაღწიოს,"**- განაცხადა კორკელიამ.

ევროსაბჭოში გამართულ შეხვედრებზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დააყენა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის საქართველოში ვიზიტის საკითხი. **"შევთანხმდით, რომ ჰილ რობლესი საქართველოში ჩამოვა, თავად შეისწავლის არსებულ მდგომარეობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და რეკომენდაციებს მოგვაწოდებს"**, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ, რომლის თქმითაც, რობლესის ვიზიტის თარიღი შესათანხმებელია.

ევროსაბჭოში გამართულ შეხვედრებზე საუბარი შეეხო, ასევე, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებას. ევროსაბჭოს ექსპერტებმა წლეულს ზაფხულში სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა შეისწავლეს და ანგარიშს ნოემბრის თვეში გამოაქვეყნებენ. **"ამ ანგარიშში ყველაზე მწვავე საკითხი გადატვირთული ციხეებია, თუმცა მიმდინარე რეფორმები დადებითადაა შეფასებული"**, - განაცხადა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ.

**24 საათი**

# სახალხო დამცველის რწმუნებული პოლიციის მიერ ჯარისკაცთა წამების ფაქტზე რეაგირებას ითხოვს

*ჯავშანსატანკო ბატალიონის N15/248-ის კონტრაქტორი ჯარისკაცების პოლიციაში ცემისა და წამების ფაქტზე სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისი პროკურატურისგან რეაგირებას ითხოვს.*

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ჯავშანსატანკო ბატალიონის ხელმძღვანელობამ ომბუდსმენის რწმუნებულს გიორგი მშვენიერაძეს 27 ოქტომბერს აცნობა, რომ პოლიციამ შვიდი სამხედრო მოსამსახურე დააკავა. ბატალიონის კონტრაქტორ ჯარისკაცებს ზურაბ გაბაშვილს, აკაკი თვალაბეიშვილს, ერემო ახალაძეს, უჩა ახალაძეს, ზვიად ჩხაიძეს, ვახტანგ დუმბაძესა და პაატა გოგრაჭაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით წაუყენეს - პოლიციისთვის ხელის შეშლისა და წინააღმდეგობის გაწევის გამო. ბატალიონის ხელმძღვანელებმა სახალხო დამცველის რწმუნებულს იმის თაობაზეც მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაკავებული ჯარისკაცები პოლიციის განყოფილებაში სასტიკად ცემეს.

**"ჩვენ მიერ დაიწყო აღნიშნული საკითხის შესწავლა. ახსნა-განმარტება ჩამოვართვით ბატალიონის ხელმძღვანელს, რომელიც ცემის ფაქტის თვითმხილველია, ასევე, მერაბ კაჭარავას, რომელიც არის ამავე ბატალიონის შ-4-ის უფროსი. გარდა ამისა, ავიღეთ ახსნა-განმარტებები უშუალოდ დაკავებული პირებისგან, რომლებიც ადასტურებენ, რომ მათ პოლიციის შენობაში პოლიციელებმა სცემეს ხელკეტებისა და ავტომატის კონდახების გამოყენებით"**, - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა სახალხო დამცველის რწმუნებულმა გიორგი მშვენიერაძემ.

სამხედრო მოსამსახურეების კონფლიქტი პოლიციასთან ქუჩაში დაიწყო. ნასვამი ჯარისკაცები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განყოფილებაში გადაიყვანეს. ქუთაისის შს სამმართველოში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში არ მალავენ, რომ ამ ინციდენტის გამო და სამხედროებთან ჩხუბის შედეგად, პოლიციის ექვსი თანამშრომელია დაზარალებული.

**"ვფიქრობ, ამის გამო მოხდა პოლიციის მხრიდან ანგარიშსწორება და დაკავებული ჯარისკაცების ცემა. ნაცემ ჯარისკაცებს შეუძლიათ ეს პირები ამოიცნონ. თუ ფაქტი დადასტურდება, ამას მაშინვე წამების მუხლით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსში ახლად შესული ცვლილება, მუხლი, რომელიც ითვალისწინებს 7-დან 15 წლამდე პასუხისმგებლობას"**, - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.

ქუთაისის სახალხო დამცველის ოფისი შესაბამის რეკომენდაციებს პროკურატურის სახელზე უკვე ამზადებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კი ამასობაში დაკავებულთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე უნდა იმსჯელოს.

## მოკლედ

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტრო მომავალი წლიდან საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან ლიფსიტების შემოტანას გეგმავს, რაც პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ნახევარ მილიონ ლარამდე დაუჯდება. სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის თქმით, მეთევზეობის განვითარება ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს და, შესაძლოა, აღნიშნულმა პროდუქციამ ექსპორტის განვითარებაც წაახალისოს. მინისტრი არ გამორიცხავს, რომ მეთევზეობის განვითარება უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას გამოიწვევს. **პრაიმნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ქართველ ბიზნესმენებს შეხვდა. შეხვედრისას საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა და ბიზნესმენებმა ახალ საბაჟო და საგადასახადო კოდექსებზე ისაუბრეს. "თქვენი აზრი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც, ამ კოდექსებში თქვენი შენიშვნებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ბიზნესის განვითარება საქართველოში ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და თითოეული საკანონმდებლო აქტი ამას უნდა ემსახურებოდეს," - განუცხადა ნინო ბურჯანაძემ ქართველ ბიზნესმენებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** რუსეთის ნავთობკომპანია "ლუკოილის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი რავილ მაგანოვი აცხადებს, რომ კომპანია "ყარაბაღის" საბადოს გადამუშავების პროექტში დაბრუნების საკითხს განიხილავს. "აზერბაიჯანში ვსწავლობთ როგორც ახალ, ისე ძველ პროექტებს და ჩვენ არ გამოვრიცხავთ "ყარაბაღის" პროექტში დაბრუნებას," - აცხადებს რავინ მაგანოვი. მისივე თქმით, "ლუკოილი" თავის საინვესტიციო პროექტებში ფასს ბარელ ნავთობზე 28 დოლარად საზღვრავს. ბოლო მონაცემებით, "ყარაბაღის" საბადოდან ამოღებული ნავთობის მარაგი 47-49 მლნ. ტონას შეადგენს. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში აცხადებენ, რომ ნავთობზე ფასების ზრდა საშუალებას იძლევა აღნიშნული საბადოდან სახელმწიფომ დიდი მოგება მიიღოს. თუკი "ყარაბაღის" მიმართ უცხოური კომპანიები არ დაინტერესდებიან, საბადოზე ჰიდროტექნიკურ მოწყობილობას სახელმწიფო თავად ააშენებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დასავლეთ საქართველოში ციტრუსის მოსავლის აღება დაიწყო. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წელს 80 ათასი ტონა მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის მოსავალია მოსალოდნელი. მოსავლის დიდი ნაწილის ექსპორტი რუსეთსა და უკრაინაში განხორციელდება. ციტრუსის გატანასთან დაკავშირებით მოლაპარაკება სომხეთსა და ყაზახეთთანაც მიმდინარეობს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** იანვარ-სექტემბერში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ნოვოროსიისკის პორტიდან 1,298 მილიონი ტონა ნავთობი გაიტანა, რაც 689 ათასი ტონით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით; ოქტომბერში სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ტენდერით ნოვოროსიისკიდან 227 ათასი ტონა ნავთობი გაყიდა. მყიდველები იყვნენ კომპანია Mercuria Energy Trading, რომელმაც 142 ათასი ტონა ნავთობი შეისყიდა და კომპანია Vitol, რომელიც 85 ათასი ტონა ნავთობის მყიდველია. გასულ კვირას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ საქართველოს პორტ სუფსაში Azeri Light ხარისხის ნავთობის გაყიდვაზე ტენდერი ჩაატარა. მასში გამარჯვებულად კომპანია Select Energy GMBH გამოცხადდა, რომელიც 18-19 ნოემბერს ერთ მილიონ ბარელ ნავთობს (135 ათას ტონა) გაიტანს. ერთი მილიონი ბარელი ნავთობის სუფსიდან გაყიდვის თაობაზე წინა ტენდერი თურქულმა კომპანიამ "თუფრას"-მა მოიგო. იანვარ-სექტემბერში აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კომპანიის პარტნიორებმა ბაქოსუფსას მილსადენით 5,157 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტი განახორციელეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (20 ოქტომბერი - 26 ოქტომბერი) 100.44 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 99,90 პროცენტი იყო. (ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს). წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე გაიზარდა 0,44 პროცენტით, მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 1,04 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე ფასები შემცირდა 0,17 პროცენტით; ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა კიტრზე (66,7 პროცენტით), პომიდორზე (16,7 პროცენტით), ხახვზე (7,1 პროცენტით), ძროხის ხორცზე (3,1 პროცენტით); ხოლო ფასები შემცირდა ღორის ხორცზე (2,6 პროცენტით), ყველზე (2,0 პროცენტით) და ქათმის ბარკლებზე (1,1 პროცენტით). წინა კვირასთან შედარებით ფასი შემცირდა ბენზინ "ნორმალზე" (1,4 პროცენტით). ამასთან, ფასი გაიზარდა გაზეთზე "კვირის პალიტრა" (20,0 პროცენტით).

**24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პარლამენტში დეპუტატების როტაცია მიმდინარეობს

გუშინ საქართველოს პარლამენტმა ცნო ბათუმის და შუახევის საარჩევნო ოლქებში გამარჯვებული მაჟორიტარების, ჯემალ ინაიშვილისა და ელგუჯა მაკარიძის სადეპუტატო უფლებამოსილება. როგორც ჩანს, პირველი მათგანი რიგითი დეპუტატის რანგში დიდხანს არ დარჩება. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია "24 საათთან" საუბარში ადასტურებს, რომ ჯემალ ინაიშვილი ძალიან ახლოს არის ვიცე-სპიკერობასთან.

**"ამ თანამდებობაზე მე მას მხარს დავუჭერ. ბატონი ჯემალი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე უახლოეს მომავალში გახდება. ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება საპარლამენტო უმრავლესობას უკვე მიღებული აქვს. ამასთან, ინაიშვილს ვიცე-სპიკერობა ფორმალურადაც ეკუთვნის,"** - აცხადებს გიგა ბოკერია.

სპიკერის ახალი სავარაუდო მოადგილის მიმართ საპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ ლოიალურია. აღსანიშნავია, რომ დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა ჯემალ ინაიშვილს გუშინ პირველმა დავით ბერძენიშვილმა მიულოცა. "24 საათის" კითხვაზე, რამდენად მისაღებია ოპოზიციისთვის ვიცე-სპიკერის პოსტზე ინაიშვილის პერსონა, რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო გუნდის ლიდერი ასე პასუხობს: **"აჭარაში არჩეული მაჟორიტარებიდან ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე კობა ხაბაზის კანდიდატურის წარდგინება საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან არასერიოზული ნაბიჯი იქნებოდა. ამდენად, ინაიშვილისთვის ამ პოსტის ჩაბარების სურვილი სავსებით გასაგებია. ამ საკითხს საკმაოდ დელიკატური წინაისტორიაც გააჩნია: ხელისუფლებას ბათუმში რესპუბლიკელების გამარჯვებისა ეშინოდა და ამიტომ, შუალედურ არჩევნებში, ჯემალ ინაიშვილის სახით, წონიანი ფიგურა გამოიყვანა... მომავალ ვიცე-სპიკერთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ დავილაპარაკებთ, როდესაც ამ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა ოფიციალურად დასახელდება".**



გიორგი არველაძე პათეტიკურად გამოემშვიდობა პარლამენტს.

დავით ბერძენიშვილს უჭირს იმის თქმა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ჯემალ ინაიშვილი ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდეს. **"არ ვიცი, ეს თავად მასზეა დამოკიდებული,"** - შენიშნავს დავით ბერძენიშვილი.

გუშინვე პარლამენტმა სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა გიორგი არველაძეს, რომელიც 20 ოქტომბერს ოფიციალურად დაინიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მასთან განშორებას ძალიან ემოციურად გამოხატავდნენ. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "იმუქრება", რომ მომავალში კატეგორიულად შეეწინააღმდეგება მცდელობებს, რომ პარლამენტიდან წაიყვანონ ის დეპუტატები, ვინც საქმეს კარგად უძლვება.

საკმაოდ პათეტიკური იყო გიორგი არველაძის გამოსათხოვარი სიტყვაც. **"იდეურად და პოლიტიკურად უმრავლესობის გვერდით ვრჩები და ვემსახურები საქართველოს. საქმეს ისევ ერთად გავაგრძელებთ და საერთო გამარჯვებამდე მივალთ,"** - ამ სიტყვებით წავიდა არველაძე პარლამენტიდან სახელმწიფო კანცელარიაში.

# კავკასიის პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი

*თბილისში გამართული, კავკასიის პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი დასრულდა. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში სასტუმრო "თბილისი მარიოტში" აზია-წყნარი ოკეანის და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბიზნესმენები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დადებითი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს განიხილავდნენ. ფორუმი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა, რომელმაც პოტენციური ინვესტორების წინაშე საქართველოს ღირსებებზე საუბარს გრძელი სიტყვა მიუძღვნა.*

დიანა ჩაჩუა

**"საქართველოში ინვესტორების წარმატებული საქმიანობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ჩვენ გვაქვს რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, ვამარტივებთ საბაჟო კოდექსსაც. ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა და, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია კორუფცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ვითარდება ენერგეტიკის სექტორი, საგზაო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო აპარატი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბიზნესისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, შემცირდა დაახლოებით 40 პროცენტით. ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ხმაურიანი, კრიმინალური ოპერაციები და დავაპატიმრეთ კორუმპირებული ჩინოვნიკები. მოკლე დროში შევძელით განგვეხორციელებინა სახელმწიფო აპარატის, პოლიციის და განათლების რეფორმა,"** - ეს და სხვა მრავალი განცხადება გუშინ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველ აზიურ ბიზნეს-ფორუმზე გააკეთა.

ფორუმში აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 70-მდე წამყვანმა ბიზნესმენმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, საფეიქრო და ქიმიური მრეწველობის, საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო, ქაღალდისა და ბეჭდვითი სფეროს წარმომადგენლებმა.

**"ეს არის გაცნობითი შეხვედრა, რომელზეც აზიის რეგიონის 70-ზე მეტი სერიოზული ბიზნესმენი საქართველოს შესაძლებლობებსა და ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოს ეცნობა. გვინდა, მათ საქართველო რეგიონულ ჭრილში დავანახოთ, რათა გაიგონ, რომ მათი ინვესტიცია და ბიზნესი მხოლოდ ჩვენი ქვეყნით არ შემოიფარგლება. მათ მიერ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ევროპის ბაზრებსა და მეზობელ ქვეყნებშიც შეიძლება. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა მათთვის ნამდვილად საინტერესოა,"** - აცხადებდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი. მისივე თქმით, ამ შეხვედრას მომავალში სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით აზიიდან საქმიანი დელეგაციების ვიზიტი მოჰყვება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აზია-წყნარი ოკეანის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კონფედერაციის წევრი გახდა. კონფედერაცია 25 ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატას აერთიანებს და 3 მილიონზე მეტი საწარმოს ინტერესებს მოიცავს.

**"მართალია, საქართველო ევროპაზე არის ორიენტირებული, მაგრამ არსებობს იმის შანსი, რომ საქართველო ევროპისა და აზიელი ბიზნესმენების მაკავშირებელი ხიდი გახდეს,"** - მიმართავდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ფორუმის მონაწილეებს.

პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი რამდენიმე ქვეყანასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ხელი მოაწერა მემორანდუმებს ნეპალის, ბანგლადეშის, მონღოლეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან, ასევე ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური კორპორაციის ასოციაციასთან. როგორც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა განაცხადა, გადაწყდა, რომ მომავალი წლის დასაწყისში საქართველოში აზია-წყნარი ოკეანის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კონფედერაციის (CACCI) ფარგლებში საკმაოდ წარმომადგენლობითი ბიზნეს-დელეგაცია ჩამოვა, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ესტუმრება.

**"აზიის რეგიონი თავისი სამრეწველო და კომერციული პოტენციალით უდიდესია და ჩვენთვის ამ ბაზარზე შეღწევას დიდი მნიშვნელობა აქვს. თავის მხრივ, ჩვენი ბაზარიც შესაძლოა მათთვის საინტერესო იყოს,"** - განაცხადა ინაიშვილმა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის თქმით, უკვე არსებობს უცხოელთა რეალური ინტერესი ჩაის გადამამუშავებელ მრეწველობაში. **"ჩვენ ვაპირებთ როგორც ჩაის, ასევე სხვა დარგებში ტექნოლოგიების გადაიარაღებას. მომავალი წლის დასაწყისში ქართული ბიზნეს-დელეგაციაც გაემგზავრება აზიის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც თავიანთ კოლეგებს შეხვდებიან და მათ გამოცდილებას გაიზიარებენ,"** - აღნიშნა მან.

კონფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ჯეფრი კუმოდი კონფერენციით კმაყოფილი ჩანდა. **"აღნიშნულმა მოგზაურობამ და კონფერენციამ ისეთი შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ სწორ მიმართულებას ვადგავართ. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა,"** - განაცხადა ჯეფრი კუმოდმა.

# შეკითხვები და შეუსრულებელი დაპირებები სამხედრო გაწვევის წინ

პირველი გვერდიდან

თუ ადრე ჯარში გაწვევის გეგმის შესასრულებლად საჭირო იყო პოლიციის ძალის გამოყენება, ამჟამად ვითარება შეიცვალა. არმიის პრესტიჟის ამაღლების, სამხედრო ყაზარმებში საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამხედრო უწყებებში, პოლიციასა თუ უშიშროების ორგანოებში მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მოხვედრის პერსპექტივის გამო, არმიაში მოხვედრას სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს.

**"მე სიამოვნებით ვიმსახურობ ქართულ ჯარში, იქ ახლა კარგი პირობები და არმიის მიმართ მეტი ყურადღებაა,"** - ამბობს 18 წლის გიორგი. 50 წლის თბილისელი ნუკრი დეისაძე კი ფიქრობს, რომ ქართულ ჯარში ისიც სიამოვნებით იმსახურებს, ასაკი რომ უწყობდეს ხელს.

რა თქმა უნდა, უმრავლესობის სიმპათიები უპირველესად საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისკენ იხრება, სადაც საკამოდ მკაცრი კონკურსის შედეგად ხვდებიან და მომზადების პროგრამაც ძალზე დატვირთულია. შესარჩევი ფაზის გავლის შემდეგ ჯარისკაცი კონტრაქტს აწერს ხელს და იგი თვეში 500-ლარამდე ჯამაგირს იღებს სახელმწიფოსაგან. თუმცა, წელიწადნახევრიანმა სამხედრო სამსახურმაც საქართველოში ფასი დაიდო.

წვრთნისა და ყოფაცხოვრების კარგი პირობები სულაც არ აღმოჩნდა იმის გარანტია, რომ სამხედრო სამსახური პრესტიჟული გამხდარიყო მთავრობის და პოლიტიკური ელიტის ოჯახის წევრთათვის. ერთადერთი გამონაკლისი "სახალხო ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი, უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე აკაკი ასათიანია, რომლის შვილი ოფიცერია და სულ ახალახან დაბრუნდა ერაყიდან.

**"ერთი რამ მინდა ვთქვა: თუ რომელიმე ადამიანი დაინიშნა თანამდებობაზე, რომლის შვილს აქვს გაწვევის ასაკი და არ გამოცხადდება გამწვევ პუნქტზე, ეს ადამიანი უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან. ასევე საარჩევნო სიაში არ უნდა მოხვდეს ასეთი ადამიანი, ვისი შვილი ან ოჯახის წევრი არ ცხადდება გასაწვევ უბნებზე. ყველას მიმართ უნდა არსებობდეს თანაბარი მიდგომა,"** - ამბობდა 2003 წლის დეკემბერში, "ვაზიანის" სამხედრო ბაზაზე ქართველი "კომანდოსებით" გარშემორტყმული მიხეილ სააკაშვილი.

მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის "სიტყვაში გამოჭერა" არც ისე იოლია. ჯერ ეს ერთი, მისი გარემოცვის უმრავლესობა თავად არის წვევამდელი ასაკისა და მათ მცირეწლოვან შვილებს ვერავინ მოსთხოვს ქვეყნის დაცვას. თუ იმას უსაყვედურებ, რატომ შენი პირტიტველა დეპუტატები არ მიდიან ჯარშიო, გეტყვის: სარეზერვო შეკრება რომ გაიარეს ოსიაურში, ეგ რა, სამხედრო სამსახური არ არისო? გარდა ამისა, კანონი ჯერ კიდევ აძლევს ყველა მოქალაქეს უფლებას, 200-ლარიანი გადასახადით სრულიად კანონიერად გადაივადოს სამხედრო სამსახური.

მაგრამ საინტერესო ამბები მაშინ ნახეთ, თუ პარლამენტმა ორასლარიანი მოსაკრებელი 2000 ლარამდე გაზარდა და თანაც შეზღუდა ამ უფლებით სარგებლობა (გაწვევის ვადის განმავლობაში ორჯერ).

**"ადამიანი თუ იყო სტუდენტი და იგი აღწევდა 27 წელს, ზღვრულ ასაკს, იგი ავტომატურად თავისუფლდებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. ახლა სტუდენტი, თუ ის 25 წელს მიაღწევს, იქნება გაწვეული. რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, ვინც არ არის სტუდენტი, მათაც შეუძლიათ ორჯერ გადაივადონ სამსახური, ესეც ნოვაცია გახლავთ. წინა ჯერზე გადავადება შეიძლებოდა მრავალჯერ და ღირდა 200 ლარი, ახლა ეს იქნება 2000 ლარი,"** - განმარტავს ნიკა რურუა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ცხადია, ცვლილებების ავტორებს ამოძრავებთ კეთილშობილური მიზანი, სამხედრო სამსახური გახადონ ყველასათვის თანაბრად სავალდებულო (2000 ლარის გადასახადზე მაინც ძალიან ცოტას თუ მიუწვდება ხელი საქართველოში, თანაც, როგორც ვთქვით, ამ უფლებით სარგებლობა მხოლოდ ორჯერ შეიძლება და ჯარში წასვლა მაინც არ აგცდება), მაგრამ, როგორც იტყვიან, აქ არის ერთი "მაგრამ".

4 წლის წინ, როდესაც ასეთ საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებდნენ, სამხედრო უწყების მოხელეებს ხელთ კალკულატორი ეჭირათ და ვარაუდობდნენ, რომ მხოლოდ პირველ წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი შევიდოდა. გათვლა ემყარებოდა კომისარიატების მუშაკების მიერ ინკოგნიტოდ მიწოდებულ ინფორმაციას კორუფციული გარიგებების შესახებ. ფაქტები მოწმობდა, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში გაყინულ, კეთილმოუწყობელ ყაზარმებში მშიერ ცხოვრებას, წვევამდელებს ერჩივნათ 200 ლარი გამწვევი ორგანოების მუშაკებისთვის მიეცათ. მანამდე არალეგალური გადასახადის კანონის ჩარჩოებში მოქცევით, სამხედროები და პოლიტიკოსები ერთბაშად ორი კურდღლის მოკვლას ფიქრობდნენ - ბიუჯეტში დამატებითი თანხების მიღებას და კომისარიატებში კორუფციის შემცირებას. ცოტაოდენი ფული კანონის ამოქმედებით ხაზინაში მაინც შევიდა, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც ვარაუდობდნენ. გამწვევ განყოფილებებში ტოტალურმა კორუფციამაც საგრძნობლად იკლო. შესაბამისად, გადავადების თანხის გაათმაგების შემთხვევაში დიდია რისკი, რომ გამწვევი განყოფილებები კვლავ იქცევიან გარიგებების არენად, მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელი შალვა თადუმაძე: **"ორასლარიან მოსაკრებელზე ე. წ. კომისარიატები არ ვაჭრობდნენ და ახლა ამ თანხაზე ივაჭრებენ. მეორე, როცა დიდი რესურსი იქნება გასაწვევი და ცოტა იქნება ჯარში წასაყვანი, ჯარში ის წავა, ვინც ფულს არ გადაიხდის."**

ახალი საკანონმდებლო ცვლილების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას არ იზიარებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რურუა. ამასთან, პარლამენტარი არ გამორიცხავს, რომ პირველი გაწვევის დროს უსიამოვნო სიურპრიზებსაც ჰქონდეს ადგილი: **"რა თქმა უნდა, კორუფციის საშიშროება ყოველთვის არსებობს, ყველა ქვეყანაში, მაგრამ ეს პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალეა, ამაში ჩვენი კომიტეტიც იღებს მონაწილეობას. გვაინტერესებს, პროცესი როგორ დაიწყება და პირველი შედეგების ხილვის შემდეგ მოგახსენებთ, როგორი ეფექტი ექნება ამ ინიციატივას."**

ანუ ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ყველაფერი ისეა, როგორც ერთ ქართულ ანდაზაში. საპარლამენტო კომიტეტიდან კანონპროექტი მალე პარლამენტის დარბაზში გადაინაცვლებს, და თუ პარლამენტი სამხედრო გაწვევის კანონში ცვლილებებს დაამტკიცებს, "წიწილების დათვლა" მომავალი საგაზაფხულო გაწვევისას მოხერხდება. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც გაიგებს ხალხი, თუ ვინ არის საქართველოში ისეთი მდიდარი ადამიანი, პოლიტიკაში თუ ბიზნესში, ვისაც შვილის სამხედრო სამსახურში გაშვებას, 2000 ლარის გადახდა ურჩევნია. თანაც იმ დროს, როდესაც ქართული არმია, ოფიციოზის განცხადებით, ფეხზე დგება და პრესტიჟული ხდება.

უცხოეთი

# ვოლკერმა დამნაშავეთა გვარები დაასახელა

პირველი გვერდიდან

გაერო-ს საგამოძიებო კომისიამ, რომელსაც აშშ-ს ფედერალური რეზერვების ყოფილი უფროსი პოლ ვოლკერი ხელმძღვანელობს და დამოუკიდებელი ექსპერტებითაა დაკომპლექტებული, გაერო-ს ჰუმანიტარულ პროგრამაში "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" არსებულ დარღვევათა გამოსავლენად კვლევითი სამუშაოები დაასრულა და ხუთშაბათს შესაბამისი ანგარიშიც გამოაქვეყნა.

დოკუმენტში დასაბუთებულია, რომ ჰუმანიტარულ პროგრამაში არსებულ დარღვევებში წვლილი 2 ათასამდე უცხოურ კომპანიას მიუძღვის. საგულისხმოა, რომ ერაყის ღარიბი მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენაზე გათვლილი სახსრები მეტწილად რუსული კომპანიების ხელში აღმოჩნდა. უცხოურ "მეწილეებთან" ერთად ჰუმანიტარული პროგრამით სადამ ჰუსეინის მთავრობაც სარგებლობდა. ერაყელი ჩინოვნიკები ქვეყანაში ჰუმანიტარულ ტვირთთა ჩატანისა და ერაყული ნავთობის ყიდვისთვის სხვადასხვა კომპანიებს, არალეგალურ გადასახადთა დაწესების პარალელურად, ქრთამსაც სძალავდნენ.

ვოლკერის კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გაერო-ს სანქციათა დარღვევის შედეგად, ჰუსეინმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა 1,8 მილიარდამდე აშშ დოლარი მიითვისეს. **"ანგარიშში გაერო-ს ჰუმანიტარული მისიის კუთვნილი თანხების მითვისებაში ბრალდებულმა რომელიმე კომპანიამ საკუთარი თანამშრომლების საეჭვო საქმიანობის უცოდინრობის გამო შესაძლოა, თავი უდანაშაულოდ მიიჩნიოს,"** - აღნიშნა პოლ ვოლკერმა.

გაერო-სთვის წარდგენილ ანგარიშში მოყვანილ მსოფლიოს მსხვილ კომპანიათა შორის, რომლებიც ჰუმანიტარული პროგრამით უკანონოდ სარგებლობდნენ, კომპანია "Siemens"-ი, ავტოგიგანტი "Daimler-Chrysler"-ი და შვედური კომპანია "Volvo"-ცაა. აღნიშნული ორგანიზაციები ერაყის მხარისთვის არალეგალური თანხების გადახდას უარყოფენ. პოლ ვოლკერის ოქმში გარკვეული ბრალდებები ფრანგული ბანკის "Paribas"-ის მიმართაცაა წაყენებული. აღნიშნული ბანკი გაერო-ს ჰუმანიტარული მისიის საფინანსო ოპერაციებს აწარმოებდა. "Paribas"-ი თავისი საქმიანობის სამართლიანობაში დარწმუნებულია და მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

ხუთშაბათს გამოქვეყნებულ დოკუმენტში დამნაშავეობრივ ქმედებებში ეჭვმიტანილ კონკრეტულ პირთა გვარებიცაა ჩამოთვლილი. მათ შორისაა გაერო-ში საფრანგეთის ყოფილი ელჩი ჟან ბერნარ მერიმე, რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვლადიმირ ჟირინოვსკი და კრემლის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრ ვოლოშინი. ვოლკერის ოქმში მითითებულია, რომ ვლადიმირ ჟირინოვსკიმ ჰუმანიტარული პროგრამის ხარჯზე მილიონი ბარელი ნავთობი, ხოლო ვოლოშინმა 4,3 მილიონი ბარელი ნავთობი მიიღო.




რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა მის მიმართ წაყენებული ბრალდება უარყო. **"პირადად მე არანაირი კონტრაქტისთვის ხელი არ მომიწერია. ერაყის მთავრობისგან არც ერთი ცენტი არ ამიღია და არც კომერციით ვყოფილვარ დაკავებული,"** - აღნიშნა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ. ხუთშაბათს გამოქვეყნებულმა ანგარიშმა რუსეთის ფედერაციის სხვა მაღალჩინოსანთა უკმაყოფილებაც გამოიწვია. **"პოლ ვოლკერის ოქმი მე პირადად არ მინახავს, თუმცა მასში დაფიქსირებულ ფაქტთა შესწავლა საჭიროდ მიმაჩნია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუსულ მხარეს ვოლკერთან კონსულტაციები არაერთხელ ჰქონია, მაგრამ დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ გვაჩვენეს, ყალბი აღმოჩნდა,"** - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

"ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" - გაერო-ს ჰუმანიტარული საქმიანობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ოპერაცია იყო, რომლის განხორციელებაშიც 60 მილიარდ აშშ დოლარამდე დაიხარჯა. პროგრამის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთარი ნავთობის რეალიზების შედეგად მიღებული თანხა ერაყს მედიკამენტების, სურსათისა და სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული საქონლის შესაძენად გამოეყენებინა. თუმცა, ერაყის ღარიბ მოსახლეობაზე გათვლილი ჰუმანიტარული დახმარების დიდმა ნაწილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია.

# ჩრდილოეთ კორეა დამატებით მოთხოვნებს აყენებს

ჩრდილოეთ კორეა არ აპირებს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას თავის ბირთვულ მარაგზე, ვიდრე მსუბუქ წყალზე მომუშავე რეაქტორს არ მიიღებს.

საინფორმაციო სააგენტო "იუნჰაპ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფხენიანი ასევე არ არის დაინტერესებული სამხრეთ კორეიდან ელექტროენერგიის მიღებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს უბრალოდ იონბენის ატომური ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ეკვივალენტური იქნება. "გრაფიტის რეაქტორებზე უარი რომ ვთქვათ, უკვე უნდა გვქონდეს მსუბუქ წყალზე მომუშავე რეაქტორები," - განაცხადა კომუნისტური კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხან სონ რელამ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დღეისთვის ძალიან ადრეა საუბარი ისეთი რეაქტორების შექმნაზე, რომლებიც ატომური იარაღისთვის საჭირო ნედლეულს შექმნიან.

გუშინ ფხენიანში ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ირთან მოსალაპარაკებლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჰუ ძინტაო ჩავიდა. მართალია, მოლაპარაკების დეტალებზე ინფორმაცია არ ვრცელდება, მაგრამ, სავარაუდოდ, მხარეები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის საკითხზე მრავალმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ჩატარების შესაძლებლობას განიხილავდნენ. შეგახსენებთ, ექვსმხრივი მოლაპარაკებების (მონაწილეობს ორივე კორეა, რუსეთი, ჩინეთი, აშშ და იაპონია) მორიგი რაუნდი 7 ნოემბერს პეკინში უნდა გაიმართოს.

ჩინეთის დედაქალაქში გამართული ექვსმხრივი მოლაპარაკების ბოლო რაუნდის დროს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ კორეა ეკონომიკური დახმარების და უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ, საკუთარ ბირთვულ პროგრამას შეწყვეტს. თუმცა, მოგვიანებით ჩრდილოეთ კორეამ ახალი მოთხოვნა წამოაყენა, კერძოდ ფხენიანმა განაცხადა, რომ ბირთვულ პროგრამას მანამ არ შეაჩერებს, ვიდრე მსუბუქ წყალზე მომუშავე რეაქტორს არ მიიღებს. აშშ-მ და იაპონიამ ეს მოთხოვნა უარყვეს. **24 საათი**

# ტერაქტი ჩეჩნეთში

გროზნოს ცენტრში გუშინ დილით მომხდარი ძლიერი აფეთქების შედეგად სამი სამხედრო დაიღუპა და რვა დაიჭრა.

როგორც რადიო "თავისუფლება" იუწყება, გზის პირას დამონტაჟებული რადიომართვადი ფუგასი იმ დროს ამოქმედდა, როცა იქ სამხედრო ავტოკოლონამ გაიარა. მეორე ვერსიით, რომელსაც "იტარ-ტასი" ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს, აფეთქებისას არავინ დაღუპულა - დაიჭრა ფედერალური ჯარების სამი სამხედრო მოსამსახურე. **ინტერპრესნიუსი**

# ირანის პრეზიდენტი უკან დახევას არ აპირებს

## საერთაშორისო პროტესტი და აჰმადინეჯადის შეუვალი პოზიცია

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოჰამად აჰმადინეჯადის მიერ ორი დღის წინ გაკეთებულ განცხადებას უმალ მოჰყვა საერთაშორისო რეზონანსი. ყოველგვარი დიპლომატიური ეტიკეტის გარეშე ნათქვამმა ფრაზამ, რომელიც უშუალო აგრესიის გამოხატულებად შეფასდა კიდეც, დასავლური სახელმწიფოების აღშფოთება და მძაფრი კრიტიკა გამოიწვია.

**"როგორც იმამი ამბობდა, ისრაელი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა,"** - განაცხადა მოჰამად აჰმადინეჯადიმ თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე "სამყარო სიონიზმის გარეშე", რომელსაც 300 სტუდენტი ესწრებოდა.

რეაქცია საერთაშორისო ასპარეზზე მართლაც მძაფრი იყო. დასავლურ ქვეყნებში საგარეო უწყებებში დაიბარეს ისლამური რესპუბლიკის ელჩები და დიპლომატიური პროტოკოლით მაქსიმალურად დასაშვები ფორმით ამ განცხადების გამო პროტესტი გამოხატეს მასპინძელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

თუმცა, პროტესტი ამ სიტყვებს მხოლოდ სახელმწიფოების დონეზე არ მოჰყოლია. არანაკლები სიმძაფრით იქნა გაკრიტიკებული ირანის პრეზიდენტის გამოსვლა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც. გაერო-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ აჰმადინეჯადის სიტყვებმა ორგანიზაციის გენერალური მდივნის გააფთრება გამოიწვია.

სტრატეგიული მოკავშირის სასარგებლოდ სათქმელი სიტყვები ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ზღვარგადასულმა დაუდევრობამ არც რუსეთს დაუტოვა.

"არ შემიძლია, რომ არ ვაღიარო: მათ, ვისაც ირანის ბირთვული პროგრამის უშიშროების საბჭოსთვის განსახილველად გადაცემა სურთ, ასეთი სიტყვების შემდეგ დამატებითი არგუმენტი გაუჩნდათ," - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა.

თუმცა, საერთაშორისო საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ირკვევა, რომ ირანის პრეზიდენტი წარმოთქმულ სიტყვებს სულაც არ ნანობს და არც უკან დახევას აპირებს. თეირანში გამართულ მასობრივ დემონსტრაციებზე სიტყვით გამოსვლისას, მოჰამად აჰმადინეჯადიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი სიტყვები "ჭეშმარიტი და სამართლიანი იყო". ისრაელის წინააღმდეგ მიმართული და პალესტინის მხარდამჭერი დემონსტრაციები კი ირანში ყოველ წელს იმართება ე. წ. ისრაელის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს. ამ ტრადიციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ოფიციალური თეირანის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა.

1979 წელს ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ მუსლიმების წმინდა თვის - რამადანის ბოლო პარასკევი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მას შემდეგ ყოველ წელს, სწორედ ამ დღეს ირანის დედაქალაქში მასობრივი დემონსტრაციები ეწყობა. **24 საათი**

Kuzanov Clinic | კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია; სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

# საფლავი

თამაზ კვაჭანტირაძე

თითო ძეგლს ყველაზე უბრალო და უჩინარ ადამიანებსაც დავუდგამენ. ამ ძეგლს ჩვენი საფლავი ერქმევა: ზოგისა - მარმარილო, ზოგისაც - გაუთლელი ლოდი, ხის ჯვარი ან სულაც მომცრო ბორცვი მიწისა.

გაუთიშავია კაცი და მისი საფლავი. აკი ამბობს ქართველი: *"წუთისოფელი რა არი, აგორებული ქვა არი, რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი"*.

დიდი ცოდვაა გაუთიშავის გათიშვა. *"ვეღარ შემსუდრონ..."* - გაჰკრავს მწარე ეჭვი ავთანდილს, ანუ შოთას: *"სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა"*.
საფლავი მშობელ მიწაში უნდა გაიჭრას:

*"ამ ორ მონასტერს მაქვნდა ალაგი,*
*სასაფლაო და ძვალთ შესალაგი...*
*ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,*
*მისად სანუფქვოდ სად დავიმარხე"*, _

გოდებს ზედაზნისა და შიომღვიმის საგვარეულო ძვალშესალაგის გახსენებაზე ბებერი ხიზანი გურამიშვილი.

*"მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს"*, - წერს ჭაბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც გული უგრძნობს: *"ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის"*...

*"დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო"*, - ივედრება აკაკი.

საფლავი მარტო მკვდარს როდი უნდა, არანაკლებ გვჭირდება იგი ცოცხლებსაც; ვაჟასი არ იყოს - სალოცავად, სულის საოხად, სამთხვევად: *"გმირთა საფლავებს, როგორც ხატს, სამთხვევლად დავეღირები"*...

დრო საფლავებსაც შლის... ზოგჯერ - იმათსაც, ვისი ხსოვნაც ხალხმა შემოინახა. გაუჩინარებულია საფლავი თამარის, შოთასი, საბასი, ფიროსმანისა...

ცოდვაა დაკარგული საფლავი. *"საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო"*, - გულამოსკვნილი მოსთქვამს პოეტი.

ათასჯერ მძიმე ცოდვაა - კაცს საფლავი წაართვა... თვით სიცოცხლის წართმევაზე უმძიმესი ცოდვა.

წართმეულსა და აწ დასაბრუნებელ საფლავზე ვწერ.

* * *

1937-38 წლებში ათეულ ათასობით კაცს წაართვეს საფლავი. რატომ ასეულ ათასობით, ანდა სულაც მილიონობით არაო, თუ მკითხავთ - ყველამ, პირველ ყოვლისა, ჩვენ-ჩვენი მკვდრები უნდა ვიტიროთ: მე ქართულ მიწაში გასათხრელ საფლავებზე მოგახსენებთ.

წართმევა წამრთმევსაც გულისხმობს. შეიძლებოდა ასეთად დაგვესახა ვინმე ერთი, "აპოკალიფსის მხეცის" განსხეულება, რომელსაც აპოკალიფსისავე ვეშაპმა ანუ სატანამ მისცა ძალაუფლება: *"და თაყვანის-სცეს ვეშაპსა მას, რომელმანცა მისცა ხელმწიფება მხეცსა... და მისცა ხელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა... და აცთუნებს მკვიდრთა მათ, რომელნი არიან ქვეყანასა ზედა, რათა ქმნან ხატი მხეცისა მის... ყოველნი, რომელთა არა თაყვანის-სცენ ხატსა მხეცისასა, მოიკლნენ"* (აპოკალიფსი, 13, 4-8). ალბათ, გვენიშნა ეს ყოველივე. ოღონდ ერთი ეჭვიც მინდა გაგიზიაროთ: ოცდაათიანი წლების ცოდვათა მხოლოდ ერთისათვის აკიდებით თავიდან ხომ არ ვიხსნით პიროვნულ პასუხისმგებლობას, ხომ არ ვიტყუებთ თავს - რა უნდა მექნა, ძალა აღმართსა ხნავდა, მე პირადად ამ ამბებში უცოდველი ვარო? ვინაც და რამაც ტირანი შექმნა და აღაზევა, მსხვერპლთა სისხლი მათ ვითომ არ ედებათ? განა უფრო მართლები არ ვიქნებოდით, საფლავის წამრთმევებად ყველას რომ გვეგრძნო თავი, მათაც კი, ვინც ოცდაჩვიდმეტის მერე მოვევლინეთ ამ ქვეყანას? ყველას უნდა გვქენჯნიდეს სინდისი - მარტო განმკარგულებლებსა და უშუალო აღმასრულებლებს კი არა, მკვლელობა-დაპატიმრებათა პასიურ მოწმეებსაც, უკანონობისა და უკეთურობის დუმილით მედასტურეებს. ნურავინ მოიტყუებს თავს - ბოროტებას წინ არ აღვდგომივართ, რათა ბოროტებავე არ გაგვემრავლებინაო. სხვა რამ მოხდა: ხალხმა, უფრო სწორად კი, კაცთა გათითოკაცებულმა კრებულმა, დაშინებულმა და სულიერ ორიენტირებმორღვეულმა, თავისი უთქმელობითა და უმოქმედობით კვერი დაუკრა უკანონობას. ამას კი "მხეცის ნიშნის" მიღება ჰქვია "აპოკალიფსით" და, თუ მას ვერწმუნებით, ამგვარად დაღდასმულებს თავისი მიეზღვებათ: *"რომელთა მოიღეს ბეჭედი იგი მხეცისა და თაყვანის-სცეს ხატსა მისსა, მოისრნეს მახვილითა და ყოველნი მფრინველნი განძღეს ხორცითა მათითა"* (აპოკალიფსი - 19,21).

თქმულა, ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. ამიტომაც ხელისუფალთა ცოდვანი თუ იურიდიულად არა, ზნეობრივად მაინც მოეკითხება ქვეყანას, ხალხს. ცხადია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ თავ-თავისი წილი რეპრესირებულთა ცოდვაში ყველას უძევს, მათ შორის ჩვენც, ოცდაჩვიდმეტის შემდგომ თაობებსაც. გვიძევს არა იმისა გამო, რომ მამათა ცოდვებისათვის შვილები ისჯებიან მესამე და მეოთხე მოდგმამდე (ეს შეიძლება იწამო, შეიძლება - არა!), არამედ იმიტომ, რომ ოცდაჩვიდმეტის ინერტულობა, სიმხდალე და საზოგადო საქმისათვის საზიანო მორჩილების სული ჩვენც გადმოგვყვა. ჩვენც ვდუმდით და ზოგჯერ ახლაც ვდუმვართ იმაზე, რაზედაც ღრიალი გვმართებს; უფრო მეტიც - ტაში დაგვიკრავს მაშინ, როცა მუშტის დაკვრა იყო საჭირო... იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ასე მგონია - ოცდაჩვიდმეტი არ იქნებოდა, ორას მილიონში ორასი კაცი მაინც რომ გამოჩენილიყო, ვინც უსამართლობასა და უკანონო ძალადობას ძალითვე აღუდგებოდა წინ.

თუმცა ერთხელ ოცდაჩვიდმეტშიც დაიქუხა ჩვენში თოფმა. იმ თოფის ჩახმახს ფეხი პოეტმა გამოუშალა და, როგორც პოეტს ეკადრებოდა, ლულა სხვისთვისაც კი არ მიუშვერია - საკუთარ ხახაში მიიცა. ეს მოხდა მწერალთა სასახლეში და ვერავითარი საღებავი ვერ გადაფარავს მის კედელზე შესხმულ პაოლოს ტვინსა და სისხლს. მისი გასროლა პროტესტი იყო, თუმცა რის ქართველები ვიქნებოდით, რომ თავგანწირვის ამ აქტშიც არ მოგვეჩხრიკა მსხვერპლის ვითომცდა სინდისის ქენჯნის ნიშნები... ვაჟკაცობა გაქცევად ჩავუთვალეთ... იმ ზარდამცემ წუთებში კი, დამსწრეთა მონათხრობით, სულით ხორცამდე შეძრული მიხეილ ჯავახიშვილი თურმე გამწარებული ბოლთასა სცემდა და იმეორებდა: "ვაჟკაცი ყოფილა... ვაჟკაცი ყოფილა"... ორიოდე დღის მერე პაოლოს ნამალევად მიაბარებენ მიწას - მას საფლავი მაინც ექნება... გამოხდება ხანი და მიხეილ ჯავახიშვილს არა მარტო სიცოცხლეს - საფლავსაც წაართმევენ, უფრო სწორად - წავართმევთ.

სწორედ ეს წართმეული საფლავები უნდა დავუბრუნოთ ოცდაჩვიდმეტის ჯვარცმულებს.

* * *

ამაზე უკვე დაწერილა ჩვენში; მაგალითად, ბევრს მოგვხვდა გულზე ამას წინათ ტელეეკრანიდან ნათქვამი, ოცდაჩვიდმეტში დაღუპულ წინაპრებს სიმბოლური საფლავები გავუკეთოთ თავ-თავიანთ საგვარეულო სასაფლაოებზეო. მადლი იქნება, ამას რომ ვიზამდეთ. ოღონდ ოცდაჩვიდმეტს ისეთი ხალხიც შეეწირა, მარტო თავის ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს რომ მოუკლეს. მათ შორის, რამდენიმე, ალბათ, სამთაწმინდეც ერია: მიხეილ ჯავახიშვილი... ტიციან ტაბიძე... სანდრო ახმეტელი... ევგენი მიქელაძე... გრიგოლ წერეთელი... იქნებ - სხვანიც. მათი ძეგლი მთაწმინდაზე უნდა დაიდგას. იგი სრულიად საქართველომ უნდა დაუდგას თავის წამებულ შვილებს. ყოველმა ოჯახმა უნდა გაიღოს თუნდაც ორიოდ "წვლილი" - როგორც ძველად იტყოდნენ - ანუ გროში მის ასაგებად... აქ, ალბათ, ყველანი ერთ აზრზე ვიდგებით... სხვა საკითხია, თუ როგორი უნდა იყოს ეს ძეგლი.

მხატვარ ვახტანგ რურუას აზრით, ოცდაჩვიდმეტში დაღუპულ "მთაწმინდელებს" ძეგლად უნდა ავუგოთ ცარიელი საფლავი ანუ ღია სამარე ანუ უკაცო ძვალშესალაგი... საფლავის ქვაზე ამოიკვეთება ადამიანის ფიგურის სქემატური რელიეფი.

ზემოთ ხედავთ, როგორ წარმოუდგენია ეს ძეგლ-სამარე მხატვარს.



*აი, როგორ წარმოუდგენია ეს ძეგლ-სამარე მხატვარს.*

ჩემი მხრივ დავუმატებდი - ეს ცარიელი საფლავი უნდა წამოიმართოს: უნდა წამოიმართოს არა იმდენად "ტექნიკური" უხერხულობისა გამო (მნახველს აღეძვრის ამ შემთხვევისთვის შეუფერებელი ცნობისწადილი "სამარეში" ჩახედვისა, ღრმული მრავალ თავსატეხს გაუჩენს მოსამსახურე პერსონალს და ა.შ.), რამდენადაც ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად: ოცდაჩვიდმეტში საქართველოს თავს დაატყდა, პოეტის თქმით, "რკინის რისხვა და საფლავების ამოვარდნა" (გრიგოლ რობაქიძე); ეს "ამოვარდნილი", "წამომართული" უკაცო საფლავი, ჩვენი აზრით, იმ ავადმოსაგონარი დროის სიმბოლური გამოხატულება იქნება. ძეგლ-სამარის "წამოსამართად", ალბათ, მთაწმინდის ციცაბო კალთაც იქნება გათვალისწინებული: სამარე შეიძლება ფლატეში გამოიკვეთოს... მეპატიოს მხატვარ-მოქანდაკე-ხუროთმოძღვართა კომპეტენციაში ასეთი შეჭრა, მაგრამ ეს ორი მომენტი - ძეგლ-სამარის "ამოვარდნა" და, განსაკუთრებით, მისი "სიცარიელე", - ჩვენი აზრით, ძეგლის იდეური ჩანაფიქრის გასაღები უნდა გახდეს.

"ცარიელი" სამარე ქართული მიწის პირშეუკრავ იარად უნდა იკითხებოდეს...

"ცარიელი" შემთხვევით არ ჩამისვამს ბრჭყალებში: ამ სამარეს ამოავსებს -

ევგენი მიქელაძის ერთი ამოკვნესა...

ტიციანის ერთი კურცხალი...

ერთი წვეთი ჯავახიშვილის სისხლისა...

ერთი ცვარი სიმწრის ოფლი, ახმეტელის შუბლიდან მოწურული.

შესაძლებელია სხეული არ დამარხო, მაგრამ შეუძლებელია დამარხო სული... "ამოვარდნილი", "ცარიელი", "კარშეხსნილი" სამარე უნდა იკითხებოდეს იმის იმედადაც, რომ ვერანაირი ტირანია ვერ დაასამარებს სულს, რომ სული ყოველთვის გამოანგრევს სამარის კარებს; ნუგეშის მომგვრელია ასეთ სულთა ხვედრიც: *"და სულნი იგი მოკლულთანი, რომელთა არა თაყვანის-სცეს ხატსა მას მხეცისასა და არცა მიიღეს ბეჭედი მისი შუბლთა ზედა ანუ ხელთა მათთა, ცხონდეს და სუფევდეს..."* (აპოკალიფსი - 20,4).

**P.S.** ეს წერილი თითქმის ოცი წლის წინ დაიწერა, კომუნისტების ზეობის ჟამს, და "ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა კიდეც (11 მარტი, 1988 წ.). ბუნებრივია, მაშინ ამ იდეის არამცთუ ხორცშესხმა, გახმოვანებაც კი სარისკო ჩანდა: ტოტალიტარული რეჟიმი თავის ცოდვებს ძეგლს როგორ დაუდგამდა! ხელისუფალთა შემდგომმა მონაცვლეობამაც კი ეს საქმე ვერ დაძრა: ვერც ერთმა მთავრობამ ვერ "მოიცალა" რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ახლა ამის ჟამმაც დაჰკრა და ამ დღეებში გადაწყდა, რომ მთაწმინდაზე სიმბოლური საფლავი დაიდგმება ოცდაჩვიდმეტში ვნებული სამთაწმინდე დიდი კაცებისა: მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, სანდრო ახმეტელის, ევგენი მიქელაძის...

ამიტომაც გთავაზობ, მკითხველო, ჩემს ამ ძველ პუბლიკაციას უცვლელად და, თუ იგი დღეს დაწერილად მოგეჩვენათ, ჩავთვლი, რომ თავის დროზე ამაოდ არ გავრჯილვარ.

# ინტას-თან თანამშრომლობა - საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

*საქართველოს მთავრობის მოწვევით, თბილისში მოკლე ვიზიტით იმყოფება ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა (ადს) მეცნიერებთან თანამშრომლობის მხარდამჭერი საერთაშორისო ასოციაციის (IntAs - ინტას-ის) დელეგაცია, აღმასრულებელი დირექტორის, დოქტორ ალენ ჟერარის ხელმძღვანელობით. წინამდებარე საგაზეთო სტატიაში ბატონი ჟერარი მოკლედ მიმოიხილავს ინტას-ის საქმიანობას და ევროკავშირის მომავალი მე-7 სამეცნიერო ჩარჩო პროგრამის პრიორიტეტებს, იგი ასევე ეხება ინტას-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ძირითად საკითხებს.*

დოქტ. ალენ ჟერარი
ინტას-ის აღმასრულებელი მდივანი

ინტას-ი დაარსდა 1993 წელს, ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც არამომგებიანი საერთაშორისო ასოციაცია. დამაარსებელთა რიცხვში იყვნენ ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი. აღნიშნულ ქვეყნებს მიეცათ ინტას-ის წევრი ქვეყნების სტატუსი, ხოლო ადს-ის ქვეყნებს, მათ შორის - საქართველოს, ინტას-ის პარტნიორი ქვეყნები ეწოდათ. ამჟამად ინტას-ის წევრი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს ევროპის 30 ქვეყანას, ევროგაერთიანებას, თურქეთსა და ისრაელს.

საქართველოსა და ინტას-ის თანამშრომლობა შეიძლება შევაფასოთ როგორც მდგრადი და ნაყოფიერი. 10 წლის წინ საქართველოსა და ინტას-ს შორის დაიდო შეთანხმება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ, რომლის განახლებულ ვარიანტს ხელი 2004 წლის ოქტომბერში მოეწერა.

2004 წლისთვის ინტას-ის მიერ დაფინანსდა 165 სამეცნიერო პროექტი საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით, რაზეც მთლიანობაში გამოიყო 3,4 მილიონი ევრო. გარდა ამისა, გამოიყო სასტიპენდიო გრანტი 20-მდე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერისათვის, საერთო ოდენობით 1,0 მილიონ ევრომდე.

საქართველოს მთავრობისა და ინტას-ის ერთობლივი დაფინანსებით 1997 წელს გაიმართა კონკურსი, რომელშიც გამარჯვებულ 20 სამეცნიერო პროექტზე საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით, გაიცა გრანტი საერთო ოდენობით 1,0 მილიონ ევრომდე. 2004 წლის ოქტომბერში, ინტას-ის შტაბ ბინაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონ ალექსანდრე ლომაიას ვიზიტის დროს, ჩვენ შევთანხმდით ერთობლივი ძალისხმევით, კონკურსის საფუძველზე, დავხმარებოდით ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს კვლევების განხორციელებაში, როგორც მათ სამშობლოში, ისე ინტას-ის წევრ ქვეყნებში. შედეგად, ამა წლის ივნის-სექტემბერში, ერთობლივი დაფინანსებით, ჩატარდა კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიების მოპოვებისთვის, რომლის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 130 ათასი ევრო.

ინტას-ის ძირითადი მიზანია, ინტას-ის წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ადს-ის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის გაძლიერება, რაც, ძირითადად, ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების პროგრამებში ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მონაწილეობის გზით უნდა მოხდეს.

ინტას-ი თავის საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა პროგრამების სახით: სამეცნიერო პოლიტიკის სემინარები, სამეცნიერო პროექტები და ქსელების კონკურსები, საინოვაციო გრანტები, ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიები, კონფერენციები, საზაფხულო სკოლები და სხვა სასწავლო საქმიანობა.

"სამეცნიერო პოლიტიკის სემინარები" წარმოადგენენ მნიშვნელოვან საშუალებას ინტას-ის სტრატეგიის განსაზღვრისათვის. სემინარები თავს უყრიან ინტას-ის ქვეყნებისა და ადს-ის მეცნიერებს და სხვა დაინტერესებულ პირებს: სამეცნიერო პოლიტიკის ექსპერტებს, მსხვილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს, ასევე ევროკომისიისა და სამრეწველო სექტორის წარმომადგენლებს.

"სამეცნიერო პროექტების და ქსელების კონკურსები," კერძოდ, ღია კონკურსები, როგორც წესი, მოიცავენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით - ზუსტ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს.

"საინოვაციო გრანტები" გაიცემა საინოვაციო საქმიანობისთვის და სამეცნიერო პროექტების და ქსელების პროგრამის ფარგლებში მიღწეული სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციისთვის.

"ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიები" ეხმარება გრანტის მიმღებ ადს-ის წარმომადგენელ ახალგაზრდა მეცნიერს (35 წლამდე) განაგრძოს კვლევები საკუთარ ქვეყანაში და, ამავე დროს, იმოგზაუროს სამუშაოს გარკვეული ნაწილის შესრულების ან სტაჟირების მიზნით ინტას-ის წევრ ქვეყნებში.

კონფერენციები, საზაფხულო სკოლები და სხვა სასწავლო საქმიანობა (ტრენინგი) მიზნად ისახავს: ა) ადს-ის წარმომადგენელ ახალგაზრდა მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობას საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე საზაფხულო სკოლების მუშაობაში, ბ) ამ მეცნიერთა ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში და გ) ინტას-ის წევრი და პარტნიორი ქვეყნების ახალგაზრდა მკვლევართა კონტაქტების გაძლიერებას.

აღნიშნული პროგრამების გარდა, ინტას-ი ახორციელებს ადს-ის წარმომადგენელ მეცნიერთა დახმარებას სხვა საშუალებებითაც. მათ რიცხვს განეკუთვნება: საკონფერენციო გრანტები, ელექტრონული ბიბლიოთეკა და ინტას-ის ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-6 ჩარჩო პროგრამის საინფორმაციო ქსელი ადს-ში.

საკონფერენციო გრანტები გაიცემა ინტას-ის სამეცნიერო პოლიტიკის შესაბამისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაციისთვის. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ინდივიდუალური გრანტი, რომელიც ხელს უწყობს ადს-ის წარმომადგენელ მეცნიერს მის ქვეყანაში, ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობისთვის.

ელექტრონული ბიბლიოთეკა აძლევს ადს-ის წარმომადგენელ მეცნიერებს მთელი რიგი ელექტრონული ჟურნალებით და მონაცემთა ბაზებით სარგებლობის საშუალებას. მომსახურება უფასოა, რადგან ხარჯებს ფარავს ინტას-ი.

ინტას-ის ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-6 ჩარჩო პროგრამის საინფორმაციო ქსელი შეიქმნა ადს-ის მეცნიერთა დასახმარებლად და ინტას-ის გენერალური ასამბლეისა და ევროკომისიის თხოვნით. ქსელის მიზანია ევროპის კვლევითი სივრცის და მე-6 ჩარჩო პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ადს-ის წარმომადგენელთათვის მე-6 ჩარჩო პროგრამაში მონაწილეობის წესების და დაფინანსების შესაძლებლობების განმარტება, პარტნიორების მოძიებაში დახმარება და სხვა.

საჭიროდ მიგვაჩნია, აგრეთვე, წინამდებარე სტატიაში მოკლედ შევეხოთ ევროპის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც, პრაქტიკულად, ასახულია ევროკავშირის კვლევების, ტექნოლოგიური განვითარებისა და სადემონსტრაციო საქმიანობის მე-7 ჩარჩო პროგრამაში.

ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული ეს პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამორბედი მე-6 ჩარჩო პროგრამისგან. მაგალითად, ახალი პროგრამა გაგრძელდება 7 წელიწადი, მაშინ, როცა წინა პროგრამა 5 წელიწადს მოიცავს. მკვეთრად გაიზრდება დაფინანსება და 73 მილიარდ ევროს მიაღწევს. ანუ წლიური ბიუჯეტი აჭარბებს 10 მილიარდ ევროს, მაშინ, როცა მე-6 ჩარჩო პროგრამისთვის ეს რიცხვი დაახლოებით 4 მილიარდ ევროს შეადგენს. მე-6 ჩარჩო პროგრამა კონცენტრირებულია 7 თემატურ პრიორიტეტზე, ხოლო მე-7 პროგრამა მოიცავს 9 თემატურ სფეროს; ესენია (1) ჯანმრთელობის დაცვა; (2) სურსათი, სოფლის მეურნეობა და ბიოტექნოლოგია; (3) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია; (4) ნანომეცნიერება და ნანოტექნოლოგია, ახალი მასალები, ახალი საწარმოო ტექნოლოგიები; (5) ენერგია; (6) გარემო (მ.შ. კლიმატის ცვლილებები); (7) ტრანსპორტი (მ.შ. აერონავტიკა); (8) სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებანი; (9) უსაფრთხოება და კოსმოსი.

დასასრულს, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ საქართველოსა და ინტას-ს შორის თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით გაგრძელდება და ჩვენი ორგანიზაციის დახმარება დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს სამეცნიერო სექტორში ამჟამად მიმდინარე რეფორმების განხორციელებაზე და ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ოპტიმიზაციას, მის შემდგომ გაძლიერებას და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას ევროკავშირის სამეცნიერო ჯგუფებთან და ინსტიტუციებთან; მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას ჩვენი დელეგაციის მოწვევისათვის და იმ ძალისხმევისთვის, რომელიც მიმართულია ჩვენი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე.

24 ოქტომბერი, 2005 წ.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ლონდონური Charity Ball თბილისური ფინალით























საქართველოში ქველმოქმედების, მისი წარმოშობის, ისტორიის, განვითარებისა და დღევანდელი მასშტაბების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით. ჩვენში ქველმოქმედი ადამიანების ჩამოთვლა თითებზეა შესაძლებელი და მათ მოღვაწეობასაც, უმეტესად, სპონტანური ხასიათი აქვს. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ქველმოქმედების შესახებ კანონის შემოღების, მისი სისტემაში მოყვანის, ფართოდ დანერგვის, წახალისების, ხელის შეწყობის, სწავლის სურვილიც კი არ იგრძნობა.

ქველმოქმედება კი, რამდენადაც ვიცი, არის კულტურა, ტრადიცია, შესაბამისი მენტალიტეტი და აღზრდა, რომელიც დასავლეთში, ევროპაში, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთში უკვე არაერთი ასწლეული ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და ინერგებოდა. საუკუნეების მანძილზე ბრიტანელები ქველმოქმედებას - Charity-ს ეწეოდნენ, დღესაც აქტიურად ეწევიან და იგი მათი ყოველდღიური ცხოვრების, აზროვნების განუყოფელ ნაწილად, ესოდენ მძლავრი ქვეყნის ერთ-ერთ სახედ, თვისებად არის ქცეული. ლონდონის ქუჩებში Charity მაღაზიები ყოველ ნაბიჯზე გხვდება. თითქმის ყოველდღე სხვადასხვა სასტუმროში, დარბაზებში, პატარ-პატარა საზოგადოებების წარმომადგენლობებში თუ უზარმაზარ ბანკებში სრულიად განსხვავებული მიმართულებისა და მასშტაბის საქველმოქმედო ღონისძიებები, საღამოები, მეჯლისები, კონცერტები, აუქციონები, ბაზრობები იმართება. ალბათ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მენტალიტეტით შეიძლება აიხსნას ის, რომ ლონდონელები არასაჭირო ქვაბიდან, ტანსაცმლიდან დაწყებული, საკმაოდ მსხვილი ფულადი ჩეკებით დამთავრებული, ყველაფერს კონკრეტულ, ან თუ გნებავთ, აბსტრაქტულ, მაგრამ აუცილებლად საქველმოქმედო მიზანს - მიმართულებას ანიჭებენ. ორი ან სამი ლონდონელი ქალბატონი ლანჩზე ისე არ შეიკრიბება, საუბრის დიდი ნაწილი Charity-ს თემას რომ არ დაუთმოს. სამსახურიდან დახურულ კერძო კლუბებში სადილამდე თითო ჭიქის დასალევად შემოსული მამაკაცები Charity-სთვის გამოწერილი ჩეკების სოლიდურობით ტრაბახობენ. ქველმოქმედება ინგლისში არა მარტო კეთილ საქმედ, ჰუმანურობად, არამედ კარგ ტონად, სოციალურ ნიშნადაც არის აღიარებული. პიროვნების დახასიათებისას ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპლიმენტად მისი Charity person-ად მოხსენიება ითვლება. ზოგიერთებისთვის კი ქველმოქმედებამ ფაქტობრივად უკვე პროფესიის სახეც მიიღო. მაგალითად, წლების განმავლობაში საქართველოში ევროკავშირის ელჩის მეუღლე ქალბატონი ჯეინ კორბოი ქველმოქმედების ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა. მას საქართველოდან წასვლის შემდეგაც არ დაუკარგავს კონტაქტი თავის ქართველ პარტნიორთან და თანამოაზრე ნინო ქადაგიძე-ჟვანიასთან. ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს, ბრიტანულ-ქართული საზოგადოებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი საქველმოქმედო საღამოს მოწყობის იდეაზე, ამ ორი ქველმოქმედი ქალბატონის გამოხმაურებამ, საქმეში ჩართვამ შესაბამისი შედეგიც გამოიღო.

ქალბატონ ჯეინ კორბოის საქველმოქმედო საღამოების მოწყობის დიდი გამოცდილება, ქართულ მხარეს კი დიდი სურვილი ჰქონდა. საღამოს მთავარი იდეა ბრიტანელებისადმი ქართული კულტურის, ტრადიციების მაქსიმალური სარგებლით გაცნობა იყო. სურვილი, ენთუზიაზმი მაღალ პროფესიონალიზმთან, დიდ გამოცდილებასთან გაერთიანდა და საქმეც დაიძრა. ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ კასპის და დილმის უპატრონო ბავშვთა სახლების ამსახველი და საღამოზე გასაშვები გულისამაჩუყებელი კინომასალა მოამზადა. ქართველი და ბრიტანელი ქალბატონებისგან ჯეინ კორბოის ხელმძღვანელობით საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნა. დაიწყო მომღერალ ქეთი მელუასთან მოლაპარაკებები, რომლის სამუშაო გრაფიკი საკმაოდ დატვირთული და რამდენიმე თვით ადრეა გაწერილი. დაიწყო სპონსორების აქტიური მოძიება, კომპანიების მოზიდვა. მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ ეძებ, აუცილებლად იპოვიო და სპონსორებიც გამოჩნდნენ: ცენტრ-პოინტი; BP; ლორდი როდშილდი; მისტერ ენდი კერმანი; სერ პიტერ მასონი; საქართველოს ბანკი; ბანკი რესპუბლიკა; Canargo (ყველაზე მსხვილი სპონსორი - 6500 ფუნტი) და IKX Oil and Gas.

თავდაპირველად Charity Ball-ის მოწყობა ამ წლის აპრილში იყო დაგეგმილი, მაგრამ ცუნამის შედეგად მომხდარი ტრაგედიის გამო მთელი ბრიტანული ქველმოქმედება ამ ერთი მიმართულებით მოღვაწეობდა და ქართველი ბავშვების დასახმარებელი მეჯლისი 2005 წლის 14 ოქტომბერს დაინიშნა, როდესაც დარბაზიც თავისუფალი იყო, მელუასაც ეცალა და, რაც მთავარია, საგარეო საქმეთა მინისტრიც ლონდონში იქნებოდა და თავისი დასწრებით საღამოს მეტ მნიშვნელობას შესძენდა.

ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმრო "The Four Season"-ში მიღება საღამოს რვა საათზე ძვირფასი ბეწვეულითა და სამკაულებით მოკაზმულ საღამოს კაბებსა და ფრაკებში გამოწყობილი ელეგანტური სტუმრების მობრძანებით, მიმტანების მიერ ჩამოტარებული სასმელებით, ურთიერთგაცნობითა და წარდგენით დაიწყო (ყველას მინისტრის გაცნობა, ხელის ჩამორთმევა უნდოდა) და პომპეზურ დარბაზში იშვიათი შიკით განწყობილ დიდ, ათკაციან მრგვალ სასადილო მაგიდებთან (თითო მაგიდის ღირებულება კერძო პირისთვის 1200 ფუნტი, კომპანიებისთვის კი მეტი იყო) გაგრძელდა. სადილი სამი ნაწილისგან შედგებოდა და დასაწყისში სტუმრებს საშუალება მიეცათ, ქართული სამზარეულოს რამდენიმე კერძს გაცნობოდნენ, რომლებიც ლონდონში თურმე ცნობილმა "Four Seasonbs"-ის შეფმზარეულმა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ქართველი ქალბატონების რეცეპტებითა და კონსულტაციით დაამზადა. სადილზე ქართული ღვინოები იყო მორთმეული.

მე, ჩემი ბავშვობის ძალიან ახლო მეგობრისა და აი უკვე თხუთმეტი წელი ბრიტანეთის მოქალაქის ნინა მამასახლისის და მისი ამერიკელი მეუღლის სტეფან ფიტჩის მიერ შესყიდულ მაგიდასთან, მათ მიერ მოწვეულ ბრიტანელთა გარემოცვაში ვიჯექი, ქართული სამზარეულოს მისამართით კომპლიმენტებს ვიღებდი და საკმაოდ ხშირად დასმულ შეკითხვაზე - "ეს ის კერძია, რომელიც ბუშმა გასინჯა?" - ვცდილობდი დაბეჯითებით მეპასუხა.

საღამოსთვის საგანგებოდ მომზადებულ საკონცერტო პროგრამაში დღევანდელი ლონდონის პოპულარული მომღერალი ქეთი მელუა (ვერც ერთ კაფეში, მაღაზიაში ვერ შეხვალ, რომ მესამე-მეოთხე სიმღერა მელუასი არ იყოს), Charity Ball-ისთვის თბილისიდან ცენტრ-პოინტის მიერ ჩამოყვანილი სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის მცირე შემადგენლობა და ხალხური სიმღერის ანსამბლი "ფესვები" მონაწილეობდნენ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ქეთი მელუას სიმღერა ბრიტანელებმა იციან და მოსწონთ, მაგრამ იმ რეაქციის, რომელიც დამსწრე საზოგადოებაში ქართულმა ცეცხლოვანმა ცეკვამ და ულამაზესმა სიმღერამ გამოიწვია, აღწერაც კი გამიჭირდება. უპატრონო ქართველ ბავშვებზე გადაღებული ფილმის ჩვენებისას დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. ჩემი მეგობარი ნინა ცხარე ცრემლებით ტიროდა და მას მისი ბრიტანელი მეგობარი ქალბატონებიც შეუერთდნენ. თუმცა, ნინა ქართული ცეკვის, სიმღერის დროსაც ტიროდა, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენი სუფრის დანარჩენ წევრებზე, რომელთა ტაში, ემოციური შეძახილები კონცერტის მთელი მსვლელობისას არ შემწყდარა. ქართული კულტურით აღფრთოვანება იმდენად ძლიერი იყო, რომ კონცერტს თითქმის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი უყურებდა.

საღამოს დიდი ნაწილი აუქციონს დაეთმო, სადაც გასაყიდად გამოტანილი იყო ცნობილი დიზაინერის Ermenegildo Zegna-ს კოსტიუმი (ქეთი მელუას მენეჯერმა იყიდა), მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ტურები, დიზაინერების Tata Naka-ს ორი კაბა (ერთი 2000 ფუნტად გაიყიდა), მაგიდასთან ჩემს გვერდზე მჯდომი ულამაზესი ქალბატონის მიერ აუქციონისთვის გაღებული სამკარატიანი საფირონი (ვერ წარმოიდგენთ, როგორ გულშემატკივრობდა საკუთარი ბეჭდის გაყიდვას!), ქართველი მხატვრების ნახატები, სამკაულები და ბევრი სხვა რამ. როგორც შემდგომ დავაზუსტე, ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ, შემოსული თანხა თითქმის 30 000 ფუნტს აღწევდა, რაც ქველმოქმედებით განთქმული ლონდონისთვისაც კი ძალიან კარგი შედეგი ყოფილა. ასევე ჩემს მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდა მამაკაცმა ორგანიზატორებს უპატრონო ბავშვთა სახლის ორი ძიძის წლიური ხელფასის ტოლფასი ჩეკი გამოუწერა. საღამოზე გამოცხადდა, რომ ჯეინ კორბოის და ბრიტანულ-ქართული საზოგადოების დამსახურებით ირლანდია ყოველ წელს საქართველოს უპატრონო ბავშვებს 60 000 ევროს გამოუყოფს, რათა მათი ცხოვრების პირობები ეტაპობრივად, სისტემატურად გამოსწორდეს და მოხდეს ოჯახებში მათი გაშვილების პროექტის განხორციელება.

ცრემლნარევი, თუმცა ძალიან შთამბეჭდავი, შესანიშნავად ორგანიზებული მეჯლისი დასრულდა, მაგრამ ნინა მამასახლისთან კიდევ რამდენიმე დღე ტელეფონი არ ჩერდებოდა. მისი ბრიტანელი მეგობრები აღფრთოვანებულ მადლობებს უხდიდნენ, რადგან საშუალება მიეცათ ქართულ კულტურას, სამზარეულოს, ბევრ ელეგანტურ, შარმიან ქართველს, იმ საღამოს განსაკუთრებულად მომხიბვლელ საგარეო საქმეთა მინისტრს გაცნობოდნენ. ტელეფონი არ ჩუმდებოდა, ჩვენი სიამაყე არ ნელდებოდა და ბოლოს ერთი ზარიც თბილისიდან იყო. ასეთი ზარი მხოლოდ თბილისიდან შეიძლება იყოს. ასეთ ამბავს თბილისიდან თუ გაიგებ. თურმე ლონდონის Charity Ball-ის თითქმის პარალელურად თბილისში სულ სხვა ტიპის მეჯლისი გაუმართავთ.

მართალი გითხრათ, თავიდან არც კი დავიჯერეთ...

# აბა, ადვილად როგორ დავიჯერო...

რომ საქართველო კიდევ ერთხელ ასეთი უმადური აღმოჩნდა?!

რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ყველა სხვა სამინისტროზე მეტად წარუმატებელი იყო?!

რომ ვინმეს განვითარებული სცენარი, ფორმა ნორმალურად მიაჩნია?!

რომ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, თითქოს საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენ ხმები ცალკეულ პიროვნებებს მივეცით?! ჩვენ ხმა ერთ გლობალურ სიახლეს მივეცით, რომელიც საქართველოს პროვინციული, ინტრიგანული ჭაობიდან ამოათრევდა.

რომ ახალგაზრდა, პროგრესული გიგა ბოკერია და ნამდვილი არქეოპტერიქსი ელენე თევდორაძე ერთნაირად ფიქრობენ, ერთმანეთის ესმით და შეხმატკბილებული დუეტია?!

რომ მაია ნადირაძე მართლაც ასეთი ცინიკოსია და ეს არ არის მისი დაურწმუნებლობის ნიღაბი?!

რომ რეზო ადამია - ბიოლოგი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ ჩემი შვილების თხილამურების საყვარელი მწვრთნელი იყო, ასეთ მოკლე ვადაში ისე გამოიბრძმედა დიპლომატიაში, რომ დღეს მართლა პროფესიონალების კრიტიკის უფლებას აძლევს საკუთარ თავს?! ჩუბინიშვილზე და ქათამაძეზე ლაპარაკიც კი მეზარება!

რომ ჩეჩელაშვილის პიროვნულ შეფასებაში კეზერაშვილი ასეთი შორსმჭვრეტელი ბრძენი გამოდგა?!

რომ კოტე გაბაშვილმა რეალობის შეგრძნება საბოლოოდ დაკარგა და თავი ბისმარკზე უფრო გამოცდილი, დაღლილი, ცხოვრებანანახი და ამისგან ყველაფრის ზემოდან მჭვრეტი, ვალიაჟური ბისმარკი ჰგონია?!

რომ ნინო ბურჯანაძე ამ დღეების SMS-ებმა არ დააფიქრა?!

რომ ზურაბიშვილის მიერ ნახმარი სიტყვა "ქაჯები" ამდენმა ადამიანმა ასე იოლად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სულ სხვა, მართლაც რომ ქაჯურ კონტექსტში საკუთარ თავზე მიიღო?!

რომ მიხეილ მაჭავარიანს, ბესო ჯუღელს, არქეოპტერიქსს, კირკიტაძეს თავი მართლა ხალხის რჩეული ჰგონიათ?! გაგიჟდნენ?!

რომ კოტე ყუბანეიშვილის ახალი გამოთქმა "Мы все ухватимся за Саломинку" ხალხურის დატვირთვას მიიღებს?!

რომ სამი მინისტრის მეტი ელემენტარულად ზრდილობიანი არც ერთი არ გვყავს?! არ ნანობენ, რომ მათ ზურაბიშვილის კოლეგები აღარ ჰქვიათ?! შიშისგან აღარც ზრდილობა, ეთიკა ახსოვთ და აღარც სინანულის გრძნობა გააჩნიათ?! დასანანია!

რომ ერთი მოკლე ნათქვამით იპოდრომზე შეკრებილი ათასობით ადამიანი დამაფიქრებელი, გასათვალისწინებელი ნიშანი არ უნდა იყოს?!

რომ მენეჯერული ისტერია იმდენად მასშტაბური გახდა, რომ ახლა უკვე საგარეო საქმეთა მინისტრადაც მენეჯერი გვინდა და არა გამოცდილი დიპლომატი?!

რომ ვინმე დათო ბაქრაძე იმდენად არ უყვართ, რომ ზურაბიშვილთან დასაპირისპირებლად გაწირეს?! მისი უსუსური, მაგრამ ასეთი ტიპური ღიმილის შემხედვარეებს არ შეეცოდათ?! რა მაგის ბრალია, რომ რამდენიმე ათწლეულით გვიან დაიბადა?!

რომ კირკიტაძეს გმირად ახლა უკვე მეორედ გამოგვიცხადებენ?!

რომ ნებისმიერ საკითხზე ბესო ჯუღელის კომენტარი სერიოზულად აქვთ აღქმული და თავადაც აზრს ეკითხებიან ხოლმე?! უფრო გონიერი ვერავინ ნახეს?!

რომ მდაბიო, უგემოვნო, ვულგარული უზრდელობა დღევანდელ პარლამენტში სტილად იქცა და გუნდურობას ნიშნავს?!

რომ ამგვარი "ჯოგური" მეთოდები მოსწონთ და არაფერს აგონებთ?!

რომ მილიონობით ქართველის მსგავსად პრეზიდენტმა ბურჯანაძესა და ზურაბიშვილს შორის არსებული სხვაობა არ იცის, ვერ ხედავს?!

რომ ხელისუფლებაში უსამართლობა, უდანაშაულოს ერთობლივი "გუნდური" დასჯა, დემაგოგია, თავხედობა, ტყუილი, შანტაჟი, პროვინციული ინტრიგები, მორჩილი არაპროფესიონალიზმი, შიში, შური, გენეტიკური კომპლექსების გასწორება, იდიოტის ჭკვიანად წარმოჩენა, თუ იდიოტი შენსას მღერის, სიბრმავე, მოკლეჭკუობა, გამაძღრობა, ამის გამო რეალობიდან აცდენა და მხოლოდ პირადი ინტერესების გატარება დამკვიდრდება?!

რომ ამ ხელისუფლების, პოსტრევოლუციური მიღწევების, პრეზიდენტის ათასობით უანგარო გულშემატკივრისთვის ასეთი მოულოდნელი, დაუმსახურებელი სილის გაწნა, ასეთი მწარე ტკენა აუცილებელი იყო?!

რომ ჩემს ათობით და ათობით ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ნაცნობს ველარ შევეკამათები?! პირველივე სიტყვაზე გამაჩუმებენ და თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ მართლები იქნებიან?! რატომ?!

რომ ეს სახელისუფლებო დივერსია არ იყო?!

რომ ეს უნდოდათ?!

რომ მოვტყუვდი?! ვცდებოდი?! გულუბრყვილო ვარ?!

შეიძლება, მაგრამ მაინც როგორ უნდა დავიჯერო, რომ...

ფეხბურთი

# შედეგი და განვითარება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდს მომდევნო სამი კვირის განმავლობაში ორი საერთაშორისო მატჩი ელის. ქართველი ფეხბურთელები ჯერ ბულგარეთს ეწვევიან - 12 ნოემბერს სოფიაში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. იმავე საღამოს ნაკრები თბილისში დაბრუნდება და საწვრთნელ შეკრებას აქ გააგრძელებს. 16 სექტემბერს კი იორდანიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ ორ თამაშთან დაკავშირებით, რაც ევროპის მომდევნო, 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების პირველ ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს, გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა. პრესის შეკითხვებს ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ უპასუხეს. სანამ პრესკონფერენციის დეტალებზე მოგითხრობთ, ჯერ იმ 25 ფეხბურთელის სიას გაგაცნობთ, რომლებიც დარსაძემ ხსენებული მატჩებისთვის გამოიძახა.

**მეკარეები - ნუკრი რევიშვილი (ტორპედო, ქუთაისი), ზვიად სტურუა (დინამო, თბილისი);**

**მცველები - კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), კახა მჟავანაძე (ანჟი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა);**

**ნახევარმცველები - მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), გიორგი გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ხიმკი, რუსეთი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), გიორგი ქინქლაძე (რუბინი, რუსეთი), დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია);**

**თავდამსხმელები - გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), შოთა არველაძე (აზ-67, ჰოლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი, თბილისი), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), მიხეილ აშვეთია (როსტოვი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია, თბილისი).**

"ამ ეტაპზე ხსენებულ შემადგენლობაზე შევჩერდით. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ეროვნული ნაკრების კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა და ვინც თავს გამოიჩენს, მოწვევას აუცილებლად მიიღებს. უკვე მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის ვემზადებით. ამ ციკლში მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ. ჩვენი თამაში შედეგზე და ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაზე იქნება ორიენტირებული", - განაცხადა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა.

"როდესაც ფედერაციის სათავეში მოვედი და ეროვნულ ნაკრებში რეფორმების განხორციელება დავიწყეთ, დამეთანხმებით, საქართველოს ნაკრებს ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების ყველა შანსი დაკარგული ჰქონდა. დავდექით არჩევანის წინაშე: ან დარჩენილ ხუთ მატჩში შედეგზე აგვეღო ორიენტაცია და ქიმერული მიზნების მიღწევაზე გვეზრუნა, ან დაგვეწყო ნაკრების მშენებლობის, ახალი ტაქტიკური სისტემების დანერგვის, გუნდში ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების ინტეგრაციის პროცესი. ჩვენ მეორე გზა ავირჩიეთ და მოხარული ვარ, რომ არ შევმცდარვართ. მერწმუნეთ - დღეს ეროვნული ნაკრები ერთი მიზნისთვის მებრძოლი მთლიანი ორგანიზმია, რომელშიც გუნდური სულისკვეთება და გამარჯვებისკენ სწრაფვა წინა პლანზეა წამოწეული. ამხანაგური მატჩები, მისი სტატუსიდან და მოტივაციიდან გამომდინარე, ბევრს ვერაფერს გასწავლის. მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებში ჩანს ნათლად ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია. შესარჩევი ტურნირის დარჩენილმა ხუთმა თამაშმა ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. ის, რომ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით და ცოტათი რომ გაგვმართლებოდა, სულაც ფრედ ვითამაშებდით, სწორედ ამ არჩეულმა გეზმა განაპირობა", - კამყოფილია ნაკრებში არსებული ვითარებით ნოდარ ახალკაცი.

საბერძნეთის ნაკრებთან მატჩში რამდენიმე ფეხბურთელმა, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება, თავისი თამაშით მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კანკავას, განუგრავას, წინამძღვრიშვილს, გოგუას, მეკარე რავიშვილს სულაც არ ეტყობოდათ, რომ სტუმრად ეთამაშებოდნენ ევროპის ჩემპიონს. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ეს ფეხბურთელები გამონაკლისები არ არიან. მათ გარდა ნაკრების კარს უკვე უკაკუნებს ორ ათეულამდე ახალგაზრდა ფეხბურთელი. ეს პროცესი კი ძალიან წაადგება ეროვნულ ნაკრებს და ზოგადად ქართულ ფეხბურთს.

"ამჟამად ნაკრებში 25 ფეხბურთელია მოწვეული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კონკურენცია საგრძნობლად იზრდება, ეს კი ხარისხის მთავარი წინაპირობაა. გვყავს თხუთმეტი-ოცი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი, რომლებიც უახლოეს მომავალში ამ კონკურენციაში ჩაებმებიან. ამ პროცესმა უწყვეტი ხასიათი უნდა მიიღოს, რომ წარმატებაზე რაიმე პრეტენზია გვქონდეს. შედეგი და განვითარება - ეს გახლავთ ჩვენი მიზანი და დევიზი, რომელსაც მომდევნო შესარჩევ ციკლში ვისახავთ", - ასეთია ნოდარ ახალკაცის სიტყვებით გაჟღერებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია.



გოგიტა ბაბაიძის ფოტო

დარსაძემ შემადგენლობა დაასახელა.

რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, ბულგარეთის ნაკრების თაობაზე დარსაძეს არცთუ ამომწურავი ინფორმაცია აქვს, თუმცა, ამ საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს.

"ბულგარეთის ნაკრების შესახებ საკმაოდ მწირ ინფორმაციას ვფლობ, თუმცა, ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას სულაც არ ვანიჭებ. საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ახალი ეტაპი იწყება და ამისთვის საფუძვლიანად უნდა მოვემზადოთ. ეს ორი შეხვედრა, მომდევნო ამხანაგური თამაშები, რომლებსაც შესარჩევი ტურნირის წილისყრის შემდეგ დავგეგმავთ, სწორედ ნაკრების შეთამაშებისთვის, ტექნიკურ-ტაქტიკური სრულყოფისთვის უნდა გამოვიყენოთ", - განაცხადა დარსაძემ, რომელიც საკმაოდ იმედიანადაა და მიიჩნევს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრები თბილისში 7 ნოემბერს შეიკრიბება და ბულგარეთში 11 ნოემბერს გაემგზავრება. სამშობლოში ჩვენი ფეხბურთელები 13 ნოემბერს დაბრუნდებიან. ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუ სად ვუმასპინძლებთ იორდანიის ნაკრებს. ფედერაციას სურდა, ეს მატჩი ზესტაფონში ჩაეტარებინა, თუმცა, ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, ნოდარ ახალკაცის თქმით, უფრო მოსალოდნელია, რომ მატჩი თბილისში გაიმართოს.




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს "შშმპ-თა სოციალური ადაპტაციის 2005 წლის პროგრამის" ფარგლებში შშმპ-თა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის, უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული საქონლის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი: ბრაილის შრიფტის პრინტერი - 3 ცალი.**

| ფურცლების მიწოდება | ავტომატური |
|---|---|
| ბეჭდვის ტიპი | ერთმხრივი/ორმხრივი |
| ბეჭდვის სიჩქარე მინ. | 60 სიმბოლო/წამში |
| ტექსტის ბუფერი მინ. | 99 გვერდი |
| სტრიქონი გვერდზე მინ. | 27 |
| WinBraille-თან თავსებადობა | + |
| ქულერი | + |
| ხმაურის დონე დბ. | 68 |
| ელექტრო კვება | 220 ვოლტი |
| | |
| **ქაღალდი** | |
| ცალკე ფურცლები | + |
| ქაღალდის ლენტი | + |
| | |
| **ბრაილი** | |
| ბრაილი 6/8. | + |
| ბრაილის ცხრილები მინ. | 1 მუდმივი და 1 მომხმარებლის მიერ განსაზღვრული |
| | |
| **ინტერფეისი** | |
| TCP/IP-Network, Serial 9 pin, USB | + |
| ხმოვანი ბრძანებების შესრულება | + |
| | |
| **ზომა** | |
| ზომა | საშუალო (Medium) |
| წონა კგ. | 12-25 |

**II ლოტი: ბრაილის სპეციალური ქაღალდი (140-150გრ/მ2) 6 ტონა.**

ქაღალდი თავსებადი უნდა იყოს I ლოტში აღწერილი პრინტერის პარამეტრებთან.

**III ლოტი: ხმოვანი ლიტერატურის ჩამწერი მოწყობილობა 1 ცალი.**

- ავტომატური მუშაობის შესაძლებლობა;
ლოკალურ ქსელთან დაკავშირების შესაძლებლობა;
- ფორმატის ავტომატური განსაზღვრა;
სხვადასხვა ამოცანების ერთდროულად შესრულების შესაძლებლობა;
- თერმო ან ჭავლურ პრინტერთან დაკავშირების შესაძლებლობა;
მინიმუმ 80 გბ. თევადობის შიდა მყარი დისკი;
- მყარი დისკის ჩამწერი მოწყობილობების, შიდა პროგრამების განახლების შესაძლებლობა.

3. საქონლის სრული მოცულობით მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2005 წლის 12 დეკემბრისა. მიწოდების პირობა იქნება: **DDP**, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 144, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ნოემბრიდან 15 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 16 ნოემბერს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 18 ნოემბრიდან 21 ნოემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

11. პრეტენდენტებს ტენდერის თითოეულ ლოტზე უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

12. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: შოთა ჯორჯიკია ტელ.: 694871, ეკა ლაგვილავა ტელ.: 346395 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

*სატენდერო კომისია*

# ლაშა და "ელექტრონშჩიკები"

FM უცნობი 92.0

*გადაცემა ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 20-დან 21 საათამდე.*

**ლაშა ბუღაძე:** ვინაიდან სტუმრად დღეს მუსიკოსები სერგი გვარჯალაძე და გოგი ძოძუაშვილი გვყავს, შესაბამისად, მათი მოღვაწეობის სფეროზე ვისაუბრებთ. ცოტა ხნის წინ ისინი დაბრუნდნენ ლაიპციგიდან, სადაც გოგი ძოძუაშვილი ფესტივალში მონაწილეობდა, ხოლო სერგიმ ამ ქალაქში წარმოადგინა ფილმი ქართველი ელექტრო მუსიკოსების შესახებ. ფილმში მოთხრობილია ქართული სუბკულტურის შესახებ. მისი გადაღებები მიმდინარეობდა თბილისში, ქუთაისში, ლონდონსა და კიოლნში.

**სერგი გვარჯალაძე:** ფილმის გადაღებისას გავიცანით ადამიანი, რომელმაც ლაიფციგის ფესტივალში მონაწილეობა შემოგვთავაზა. საბოლოოდ, მან შემოგვთავაზა, რომ ფესტივალზე ისინიც ჩაგვეყვანა, ვინც ჩემს ფილმში მონაწილეობს. ლაიპციგში მე, გოგი, ნიკა მაჩაიძე (ნიკაკოი), ტუსია ბერიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი გავემგზავრეთ. ამ ფილმის ჩვენება 6 ნოემბერს საზოგადოებრივი არხის ეთერით შედგება.

**ლაშა ბუღაძე:** გოგი, ორიოდე სიტყვით მოგვიყევი კონცერტის შესახებ...

**გოგი ძოძუაშვილი:** პირველი კონცერტი ჩავატარეთ ძველი კინოდარბაზის ტერიტორიაზე, რომელიც ადრე ჩამონგრეული, შემდეგ შეარემონტეს, თუმცა ძველი სახე შეუნარჩუნეს, რაც საკმაოდ საინტერესო ატმოსფეროს ქმნიდა. ეს სივრცე კარგი აკუსტიკით გამოირჩეოდა. მე და ნიკამ ცალ-ცალკე დავუკარით, მეორე დღეს კი ტუსია შემოგვიერთდა და ერთობლივი კონცერტი გამოგვივიდა.

**ლაშა ბუღაძე:** როგორი გამოხმაურება ჰქონდა კონცერტს?

**გოგი ძოძუაშვილი:** კონცერტი ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა და საკმაოდ ცუდი რეკლამა ჰქონდა. ამიტომ ძალიან მცირე, თუმცა სპეციფიკური აუდიტორია ესწრებოდა.

**ლაშა ბუღაძე:** თქვენს მუსიკას, მართლაც, სპეციფიკური მსმენელი ჰყავს. იქნებ უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ, რა მუსიკას ასრულებთ.

**გოგი ძოძუაშვილი:** ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ელექტრომუსიკას ვასრულებ, თუმცა ჩემს მუსიკაში მის კომპონენტებს ვიყენებ.

**სერგი გვარჯალაძე:** ელექტრონულ მუსიკას დიდი ისტორია აქვს. საქართველოში კი ასე იმ მუსიკას უწოდებენ, რომელიც მხოლოდ ელექტრონულად, არაბუნებრივად ჟღერს. გარდა ამისა, ბევრისთვის ელექტრონული მუსიკა მხოლოდ საცეკვაო რიტმებთანაც ასოცირდება, მაგრამ ეს მიმართულება ძალიან მრავალფეროვანია და უამრავი განხრა აქვს. მიმაჩნია, რომ 21-ე საუკუნეში ელექტრონული მუსიკა ცალკე არ უნდა მოიხსენიებოდეს და ზოგადად მუსიკალურ სფეროში უნდა მოიაზრებოდეს.



სერგი გვარჯალაძე

**გოგი ძოძუაშვილი:** მე ჩემს მუსიკას მხოლოდ კომპიუტერის გამოყენებით ვაკეთებ (იშვიათ შემთხვევაში ვიყენებ გიტარას და ცოცხალ ვოკალს), მიუხედავად ამისა, შინაარსიდან გამომდინარე ვერ დავარქმევ მხოლოდ ელექტრომუსიკას, თავისი ჟღერადობით და არსით არაფრით ჩამოუვარდება ცოცხალ მუსიკას.

**ლაშა ბუღაძე:** არსებობს თუ არა დიფერენციაცია ელექტრონულ მუსიკაში?

**სერგი გვარჯალაძე:** ასეთი დაყოფაც არსებობს. მაგალითად, არის საცეკვაო, ტრანსი და სხვა. ასეთი დაყოფა აუცილებელია იმისთვის, რომ მსმენელს გააგებინო, რაზეა საუბარი. თუმცა ეს უკვე ნაკლებად საჭიროა, რადგან ელექტრონული მუსიკა საკმაო პოპულარობით სარგებლობს, მათ შორის, სხვა ჟანრის მუსიკოსებშიც. ბევრი როკ-ჯგუფი სიამოვნებით იყენებს ელექტრო ჟღერადობას.

**გოგი ძოძუაშვილი:** ხშირია შემთხვევები, როდესაც ელექტრომუსიკოსები ანპლაგდს ატარებენ, ანუ საკუთარ კომპოზიციებს აკუსტიკურ რეჟიმში ასრულებენ.

**ლაშა ბუღაძე:** კლასიკურ მუსიკას გარკვეული მსმენელი ჰყავს. რა სოციუმი უსმენს ელექტრონულ მუსიკას? ვინ არის თქვენი მუსიკის ადრესატი?

**გოგი ძოძუაშვილი:** ჩვენი მუსიკა საქართველოში დაიბადა, რაც იმას გულისხმობს, რომ შეიქმნა სრულიად დამოუკიდებლად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ამიტომ ჩვენ არასდროს გვიფიქრია იმაზე, რომ რამე ჟანრში ჩავწერილიყავით. ამრიგად, სამივეს გამოგვივიდა მუსიკა, რომელიც თავისი არსით სრულიად თვითმყოფადია. აქედან გამომდინარე, მსმენელი შეიძლება ნებისმიერი სოციალური ჯგუფიდან გვყავდეს.



გოგი ძოძუაშვილი

**ლაშა ბუღაძე:** რამდენად ინტერესდება ამ მუსიკით ფართო მასა?

**სერგი გვარჯალაძე:** უკანასკნელ წლებში ამ მუსიკისადმი დაინტერესებამ საგრძნობლად მოიმატა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. გაჩნდა დაჯგუფებებიც: ზოგი ტრანს მუსიკას უსმენს, ზოგი - ჰაუზს. უმეტესობას ამ მუსიკაში გასართობი მხარეები აინტერესებს.

**ლაშა ბუღაძე:** ფიქრობთ, რომ თქვენი მუსიკა არა მხოლოდ თბილისის ელიტარულ მსმენელს, არამედ რაიონების მცხოვრებთაც დააინტერესებს?

**გოგი ძოძუაშვილი:** მიუხედავად იმისა, რომ ეს მუსიკა წმინდა დასავლური წარმონაქმნია, თავისი შინაარსით ნებისმიერ სოციალურ და გეოგრაფიულ ერთეულთან ახლოსაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მას ნებისმიერი კატეგორიის მსმენელი მოუსმენს. ამ მუსიკის გრძნობა და მიღება ლაიპციგელსა და თელაველს ერთნაირად შეუძლია.

**ლაშა ბუღაძე:** თქვენ კარგად ხართ ინფორმირებული თანამედროვე მუსიკაში. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ამჟამად რომელიმე ჟანრის კრიზისი?

**სერგი გვარჯალაძე:** ამ მხრივ რომელიმე მიმართულებაზე კონკრეტული საუბარი ძნელია. მაგალითად, როკში კრიზისი ნამდვილად არ არის, ამჟამად ევროპასა და ამერიკაში უამრავი საინტერესო ჯგუფი მოღვაწეობს, მაგრამ მათ შესახებ ჩვენთან ნაკლები ინფორმაციაა. არსებობს ჯგუფები, რომლებიც გამორჩეულად სოციალურ და პოლიტიკურ თემებზე მღერიან, მაგალითად ასეთია Rage Against The Machine, რომელიც ხშირად გამოდის საქველმოქმედო აქციებზე. აქვე მინდა დავამატო, რომ დღეს ძალიან ადვილია ანდერგრაუნდის პოპულარიზაცია. ამ მხრივ განსხვავებული სურათი იყო 60-70-იან წლებში, როდესაც რეპეტიციებიდან ალბომის პრომოუშენამდე და მის გაყიდვამდე უამრავი დრო მიდიოდა. მაგალითად "ლედ ზეპელინის" თითო ალბომი, ალბათ, 2 წლის განმავლობაში მაინც მზადდებოდა. ახლა კი ტექნოლოგია იმდენად განვითარდა, რომ მუსიკოსს კომპოზიციის დასრულებისთანავე შეუძლია საკუთარი შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობა ინტერნეტის საშუალებით.

**გოგი ძოძუაშვილი:** სხვა მხრივ კი პრობლემა ისაა, რომ ახლა ინტერნეტით საკუთარ შემოქმედებას უამრავი მუსიკოსი ატრიალებს და ძნელია საუკეთესოს ამორჩევა. ვფიქრობ, "ლედ ზეპელინის" დროს უფრო იოლად იყო საქმე, რადგან მაშინ ცოტა ჯგუფი მოღვაწეობდა. გარდა ამისა, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში მიიქცევდი ყურადღებას, რადგან როკს უკრავდი.

**ლაშა ბუღაძე:** შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ამ თანამედროვე მიმართულებებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს?

**სერგი გვარჯალაძე:** ჯაზში, მართლაც, სერიოზული მიღწევები გვაქვს. თუნდაც ის, რომ "ისთერნ პრომოუშენს" ასეთი მუსიკოსები ჩამოჰყავს, ბევრს ნიშნავს.




## მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE საკონსულტაციო მომსახურება ინტერესის გამოხატვა

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA) და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

კონსულტანტს მოეთხოვება ჩაატაროს SWOT-ის (ძლიერი მხარეები, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზი ქალაქ თბილისისათვის, განახორციელოს ქალაქის არსებული აქტივებისა და ეკონომიკური ბაზის ანალიზი, განსაზღვროს ის ფაქტორები, რომელსაც წვლილი შეაქვს ქალაქის კონკურენტუნარიანობაში და არსებული ინვესტიციებისა და ინვესტორების პროფილების თავისებურებები, ინვესტირების შესაძლებლობები/პოტენციალი და ის სექტორები და ბიზნესის კლასტერები, რომელთაც ზრდის პოტენციალი გააჩნიათ. ასევე ამ სექტორების/კლასტერების წინაშე მდგარი დაბრკოლებები. კონსულტანტის მოვალეობას აგრეთვე წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ეკონომიკურ აქტივობის ტიპებთან და სექტორებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალაქის ეკონომიკას და მის წინაშე მდგარი დაბრკოლებების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა. კონსულტანტი ასევე განახორციელებს ნებისმიერი სახის დამატებით ანალიზს მოპოვებული მონაცემების კონსოლიდაციისათვის, პრიორიტეტების შესამუშავებლად და პროგრამის ან სტრატეგიის განსასაზღვრად ინსტიტუციონალური და პოლიტიკური რეფორმისათვის. კონსულტანტი უზრუნველყოფს ტექნიკურ და პროფესიონალურ დახმარებას ქალაქის წინაშე მდგარი პრობლემებისა და შეზღუდვების ანალიზის, საჭირო ინვესტიციების განსაზღვრის, პრიორიტეტების დასახვის, ყველაზე დიდი პოტენციური ზეგავლენის მქონე ჩარევისა და განსახორციელებელი გადაუდებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიმართულებით. ამ დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა 29 კვირას შეადგენს.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს ეკონომიკის, კერძო სექტორის განვითარების, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ან სხვა შესაბამის განვითარების სფეროებში სპეციალიზაციის გამოცდილებას. ძირითადი ყურადღება მიექცევა ფართო გამოცდილებას ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში, SWOT-ის ანალიზში, კონკურენტუნარიანობის შეფასებასა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროცესში (თბილისის მსგავსი მინიმუმ ერთი ქალაქისათვის). კონსულტანტის პერსონალი უნდა ამჟღავნებდეს კვლევების ჩატარების, მონაცემთა შეგროვების, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის განხორციელებისა და განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში პროექტისა და ქალაქის შესრულების დეტალური მონაცემების შემცველი ანგარიშების მომზადების მაღალ კვალიფიკაციას. სავალდებულოა მაღალი საკომუნიკაციო და საორგანიზაციო უნარ-ჩვევების ქონა. სასურველია, კონსულტანტს ჰქონდეს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებულია 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა ქვემოთ მოყვანილ მისამართზე უნდა იქნას წარმოდგენილი არაუგვიანეს 2005 წლის 7 ნოემბრისა.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი მინდია გადაევი, აღმასრულებელი დირექტორი**
**საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7 ბ**
**ტელ: +995-32 943240, 942947, 923470, 923469**
**ფაქსი: +995-32 940439**
**ელ-ფოსტა: MDF"MDF.ORG.GE**

# სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 26.10.2005წლის N36 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, სხვადასხვა ავეჯის და ხის ნაკეთობების შესყიდვაზე (დამზადება და ადგილზე მონტაჟი) პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005წლის 14 ნოემბრის 10ºº სთ-დან 15 ნოემბრის 16ºº სთ-მდე**, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

3.1 **იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

3.2 **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2005წლის 18 ნოემბრის 10ºº-დან 21 ნოემბრის 16ºº-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა ბუღაძის სვეტი

# "რუსთავი-2", პროექტი „ბარი„



/ფამილარულად მოსაუბრე ახალგაზრდები დახლთან სხედან და ერთმანეთს ზიზღით შესცქერიან. შოუს წამყვანი ქალბატონიც იქვე ზის - ზიზღს არც ეს მალავს მოთამაშეთა მიმართ, თუმცა მაინც ილიმება./

**წამყვანი ქალბატონი**. მე მგონი, მშვენიერი... კაი... რეგიონალური მასშტაბის... გემრიელი სატანისტური შოუ გამოგვივიდა... აბა, ბავშვებო, გააგდეთ ერთმანეთი, თორე ჩვენ გაგაგდებთ... ცუდებო თქვენა!.. ამაზრზენებო!..

**პირველი გოგონა**. მე მინდა გავაგდო ჩემი თანაკლასელი შორენა - რომელიც ასი წელია არ მინახავს, ძაან მენატრებოდა და აქ დამხვდა - იმიტო რო უგოიმესი გოგოა და არაჰიგიენური... დიახ!.. ამ დროს, ძაან კაი დრო გვაქვს ერთად გატარებული სკოლაში და დედაჩვენები დაქალობდნენ კიდეც... მაგრამ თამაში - თამაშია!.. შორენა არის უინტრიგანესი, უსადისტესი და მაგარი საზიზღარი ტიპი... ყველას რო ლანძღავს და იქით რო გახვალ, მაშინვე რო გაგჭორავს... ბავშვს რო გავაჩენ, ალბათ, შორენას ვთხოვ, რო შვილი მომინათლოს, მაგრამ ეხლა ძაან მინდა რო გავაგდო, იმიტო რო მაგრა გამიხარდება, თუკი წააგებს და ეგ რო ნერვიულობას და ტირილს დაიწყებს, მე აი, ძაან, ძაან ბედნიერი ვიქნები... თუმცა, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ვიდაქალებთ და ერთმანეთს არასდროს დავკარგავთ, მაგრამ "ბარიდან" უნდა გავარდეს, რა, იმიტო რო ბანძი ტიპია და აქ ვერ ვურთიერთობთ... ისე, თითქმის ყოველდღე ვხვდებით გარეთ ერთმანეთს, მაგრამ აქ, პროსტა, ვერ ავიტანე, ისეთი გოიმია!.. უქაჯესია!..

**მეორე გოგონა**. მე მინდა გავაგდო ადამიანი, რომელსაც თხუთმეტი წელია ვეძებთ მთელი ჩემი ოჯახი და აქ ვიპოვე, ამ პროექტში. მე ჩემი ძმა ვიპოვე, ხალხო, რომელიც თხუთმეტი წლის წინ, ბორჯომში, სახალხო სეირნობის დროს დაგვეკარგა და იმის მერე მთელი ჩემი სანათესაო მას ეძებს... დედაჩემმა, დარდისგან, თავიც კი მოიკლა... მამა გამილოთდა... და აი, ბოლო-ბოლო, მე ვიპოვე ჩემი პატარა ძმა!.. /მოეხვევა ერთ-ერთ მოთამაშეს/ ნეტავ, დედა მოსწრებოდა ამ დღეს!.. სად იყავი ამდენ ხანს, სად?!..

**ალმოჩენილი ძმა**. /ცრემლებს ძლივს იკავებს/ დაღესტანში... იქაურებმა გამიტაცეს...

**მეორე გოგონა**. /ხმა უკანკალებს ნერვიულობისგან/ ხალი ისევ იქა გაქ, კეფაზე?

**ალმოჩენილი ძმა**. კი... ზუსტად შენნაირად!

**მეორე გოგონა**. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახლა... აი, როგორ ვთქვა... უზომოდ ბედნიერი ვარ - მე შენ უნდა გაგაგდო აქედან!.. იმიტომ, რომ ახლა რეიტინგიც აგეწევა და თან არ ჩანხარ კაი ადამიანი!.. ეტყობა, დაღესტანში გადაგაგვარეს... დიახ, მე გიშორებ არა როგორც ძმას, არამედ როგორც კონკურენტს!.. დედა გამიგებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო... რატო არ იძინებ საწოლზე? ძირს რატო წვები ხოლმე? მუსულმანებმა შეგაჩვიეს, არა, ასე ძილს?!.. ხოდა, გაეთრიე ჩვენი პროექტიდან, ურჯულო შენა... უყურე ამას!.. და-ძმა არ ვიცი მე... პაშოლ, მალჩიკ, ნა ხ...

**წამყვანი ქალბატონი**. /აწყვეტინებს მეორე გოგონას/ უზრდელურ სიტყვებს ნუ გაგვაგონებთ!

**მეორე გოგონა**. რა უნდა გაიზარდოს ამისგან!.. მექრთამე და ერის მოღალატე... მაგრამ მაინც მიყვარხარ, რადგან კოჭებში გეტყობა - კაი ბიჭი ჩანხარ... თან ჩემი ძმა ხარ!.. თუმცა, მე ცივსისხლიანი ვარ... მინდა, ცნობილი და მდიდარი ვიყო - ამიტომ, პაშოლ-მეთქი, ნა ხუ...

**წამყვანი ქალბატონი.** სიტყვები!.. სიტყვები შეარჩიეთ! /ერთ-ერთ ბიჭს/ თქვენ რა გადაწყვიტეთ?

**ერთ-ერთი ბიჭი**. მე ვაგდებ ადამიანს, რომელიც აქ შემიყვარდა. ეს არის გოგო, რომელსაც აი, ძაან დიდი ხანი ვეძებდი, რა... ჯერ შორიდან ვუყურებდი, ვეპრანჭებოდისავით... მაგრამ გუშინ სიყვარულში გამოვუტყდი... სიყვარულის ახსნა და რამე არ გამომდის, მაგრამ უსიტყვოდაც გავუგეთ, რა, ერთმანეთს... მოკლედ, ერთმანეთი გვიყვარს და აქედან რო გავალთ, ალბათ, ცოლადაც მოვიყვან... ჩემი შვილების დედა ეგ უნდა იყოს, რა!.. იმიტო რო ეგეთ გოგოს ნაღდად ვერსად ვნახავ... თუმცა, აქედან უნდა გავაგდო, იმიტო რო, ჯერ ერთი, პროექტი პროექტია და მეორეც - მაგარი საზიზღარი ხასიათი აქ... ძერსკი გოგოა!.. გაუზრდელი ტიპია, რა... მაგრა მეიაზვება და ვაფშე, მე რო მკითხო, გასაგდები კი არა - მოსაკლავია!.. მარა, ცოლად ნაღდად მოვიყვან, როცა გარეთ გავალთ... პროსტა, აქ არ გავაჩერებ, რა!.. თან სქელია... ცოტა დიეტა ჭირდება... სირცხვილია, ხალხი უყურებს... რა ქვია... სატუჩეზე ღინღლიც შევამჩნიე... მარა, ჩემი სიცოცხლეა, რა!.. პროსტა, აქ მაგრა უნდა წავაგებინო... დედა უნდა ვუტირო!

**პროექტის მენეჯერი**. /ზიზღით შესცქერის მოთამაშეებს/ ან რა გაცვიათ, ან რას გავხართ... მაგარი ბანძები ხართ... კაი, ნუ, ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს... მითხარით, ბარში მოსულ ხალხს რითი გაუმასპინძლდებით?

**ერთ-ერთი გოგონა**. კოქტეილს გავაკეთებ ვირთხის ცურცლებისგან.

**მეორე გოგონა.** რომელიმე მოთამაშეს ღამე ნეკს მოვაჭრი და ბუტერბროდს გავაკეთებ... მერე ვინმეს შევტენი ნესტოში...

**ერთ-ერთი ბიჭი**. ბარის სტოიკაზე ავხტები და ხალხს თავზე გადმოვაფსამ...

**წამყვანი ქალბატონი**. /უეცრად, დაიჭიხვინებს/ მე მგონი, ძალიან საინტერესო პროექტია. ერთი მხრივ, ხალხი ერთობა და მეორე მხრივ, დამეთანხმებით, ადამიანთა ახალი რასაც იქმნება... პატარა ქართველი ზომბუშკები!

# რუსული თეატრი საქართველოში 160 წლისაა

## გრიბოედოვის თეატრს ულოცავენ



*გრიბოედოვის თეატრის ძველი შენობა.*

რუსული თეატრის საზღვარგარეთ მოღვაწეობის ის სიმდიდრე, რომელიც საქართველოს, კერძოდ, მის დედაქალაქს თბილისს უკავშირდება, შეუდარებელია.

თბილისი რუსული თეატრალური კულტურის ერთ-ერთი სავანეა. პროფესიონალური თეატრის არსებობის 160 წელი უდიდესი სულიერი მემკვიდრეობა, დიდი საგანძურია.

ამ საგანძურის დღევანდელი სულიერი მემკვიდრე გრიბოედოვის სახელობის თეატრის შესანიშნავი კოლექტივია.

მჯერა, რომ იუბილარები თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან მათი წინამორბედი კოლეგების ღირსეულ შემოქმედებით მონაპოვარს და თაობიდან თაობას გადასცემენ სახელოვან წინაპართა უმდიდრეს დანატოვარს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელისუფალთაგან ბევრი უგვანი და უკეთური, მომრიგებელი მოსამართლის მანტიას ამოფარებული ფარისეველნი ამ ურთიერთობის ამღვრევას შეეცდებიან.

მაგრამ მჯერა, რომ ამ სიწმინდის შენარჩუნებისა და დაცვის სადარაჯოზე ერთგულ მეციხოვნეებად იდგებიან ჩვენი დღევანდელი იუბილარები.

ვაშა, მათ!

ვაშა და დიდება, ჩვენს ძვირფას გრიბოედოველებს!

*საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი*
***ალექსანდრე შალუტაშვილი***

რუსული თეატრი, რომელიც ქართველთა სიძის, გამოჩენილი დიპლომატისა და მწერლის გრიბოედოვის სახელს ატარებს, მრავალი წლის მანძილზე ჩვენთან ერთად განიცდიდა და განიცდის ჩვენი ქვეყნის ტკივილსა და ბედნიერებას. თეატრის წამყვანმა მსახიობებმა ქართველი მაყურებლის დიდი სიყვარული მოიპოვეს. ისინი იყვნენ და დარჩნენ თბილისის ღირსეულ მოქალაქეებად. ჩვენი დიდი ხნის მეგობრობას ჩირქს ვერ მოსცხებს საქართველოს მიმართ აგრესიულად განწყობილი ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი.

ჩვენ ვიყავით და დავრჩებით მეგობრებად.

საღად მოაზროვნე ადამიანები საკმარისად არიან აქეთაც და იქითაც, მჯერა, კეთილგანწყობა მომავალშიც გაღვივდება.

ეს არის რუსული თეატრის მისია საქართველოში.

წინსვლას, გამარჯვებას გისურვებთ.

*II მსოფლიო ომის ვეტერანი, საქართველოს სახალხო არტისტი*
***ოთარ კობერიძე***

ძვირფასო გრიბოედოველებო, ძვირფასო იუბილარებო!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით ძვირფას კოლეგებს თეატრის დაარსებიდან 160 წლის შესანიშნავ თარიღს ვულოცავ.

შემოქმედებითი გზის ხანგრძლივი და ლამაზი 160 წელი. ეს შესანიშნავი თარიღია!

თქვენს სპექტაკლებზე აღიზარდა მრავალი თაობა, რადგანაც ხელოვნების გავლენა დიადი და მრავალმხრივია.

თქვენი შემოქმედებით თქვენ ეხმარებით ადამიანებს, შეიყვარონ მშვენიერება, აყალიბებთ მათ გემოვნებას და ანიჭებთ შემოქმედებით ძალას.

მე დიდი სითბოთი და სიყვარულით ვიგონებ თქვენს თეატრში გატარებულ წლებს. დაუვიწყარია ურთიერთობა შესანიშნავ მსახიობებთან, არაჩვეულებრივ კოლექტივთან, რომელიც მუდამ მაღალი ხელოვნებისთვის იწვოდა.

*სიყვარულით - თქვენი*
***გიგა ლორთქიფანიძე***

შვიდი წელი ვიმუშავე გრიბოედოვის თეატრში და გულისტკენა არ მახსოვს.

ჰარმონია სუფევდა დასში, რასაც სათუთად ვუფრთხილდებოდით. შემოქმედებითი თანამზრახველობა, თეატრის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ახალი ძიების ჟინი გვაერთიანებდა.

დაუღალავი შრომა და რწმენა იყო თავიდათავი ჩვენს ურთიერთობაში.

არასდროს გვიჭირდა წარუმატებელ წარმოდგენაზე მუშაობის თავიდან დაწყება ან მისი მთლიანად დავიწყება.

ალმასვლასთან ერთად გვქონდა ჩავარდნებიც, რის გონიერ ანალიზს უფრო ხშირად ჭეშმარიტ დასკვნებამდე მივყავდით.

ჩვენს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად "ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის" მართალი კრიტიკა იყო, რის გამოც არაერთხელ დავიწვით ხელები. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: რაზუმოვსკაიას პიესა "ძვირფასი ელენა სერგის ასული" მოსკოვიდან მოსული ცირკულარით აკრძალეს და წარმოდგენა, რომელიც ანშლაგით მიდიოდა, უფრო მეტიც, წინასწარ იყო გაყიდული 32 სპექტაკლი, დასამარებულ იქნა.

თეატრი ყოველთვის მიილტვოდა ქართული მწერლობისკენ და დღენიადაგ მუშაობდა ნაციონალური კულტურის სიღრმეებში წვდომისთვის.

გრიბოედოველთა მრავალეროვნული დასი ღირსეულად გამოდიოდა შინ და გარეთ.

ჩემს კოლეგებს წრფელი სიყვარულით უყვარდათ საქართველო. მათ ყოველთვის ეამაყებოდათ ეთქვათ - "მე თბილისის თეატრში ვმუშაობ".

***გიზო ჟორდანია***

სიამოვნებით ვულოცავ საქართველოში კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას - გრიბოედოვის თეატრს სახელოვან იუბილეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ თეატრს თბილისში ქართველმა ხალხმა სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად, სათაყვანებელი სიძისა და სულიერი ნათესავის, დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელი მიანიჭა. ასე გადაიზარდა გრიბოედოვისა და ჭავჭავაძეთა ურთიერთობა ორი ხალხის მეგობრობაში, კულტურათა ერთობაში.

საქართველო დიდი თეატრალური კულტურის ქვეყანაა და გრიბოედოვის თეატრის არსებობა ქართული თეატრების გვერდით, ჩვენი სიმდიდრე და ჩვენივე კულტურის ღირსებაა, რადგან სხვისი ჭკუისა თუ ნიჭის აღიარება საკუთარის არსებობაზე მიუთითებს.

დღიდან დაარსებისა, ამ თეატრმა თავის მხრივ ბევრი სიამოვნება მიანიჭა ქართულ და არაქართულენოვან მაყურებელს. მას მუდამ ჰყავდა დიდი აუდიტორია და არაჩვეულებრივი მსახიობების პლეადა, რომელიც ალბათ მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა. ეს მისი ოქროს ხანაა... ამ თეატრში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ საუკეთესი ქართველი რეჟისორები: დ. ალექსიძე, რ. სტურუა, გ. ლორთქიფანიძე, ლ. იოსელიანი, გ. ჟორდანია, გ. ქავთარაძე და სხვები.

მიხარია, რომ დღესდღეობით თეატრს სათავეში უდგას ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი, რომელმაც უკვე დიდი ამაგი დასდო თეატრს, შესძინა აქტუალური პოზიცია.

სასიხარულოა, რომ დღევანდელ, სამწუხაროდ, დაძაბულ საერთაშორისო ურთიერთობათა დროში, როცა თვით პოლიტიკოსები ვერ აგვარებენ, ხშირად კი ამძაფრებენ ვითარებას (ხალხს კი ნამდვილად მეგობრობა სურს), ამ ჩატეხილ ხიდებს ისევ კულტურის დესპანები ამთლიანებენ. ამჯერად ამას მოწმობს გრიბოედოვის თეატრის დიდი, ხანგრძლივი გასტროლები რუსეთის ქალაქებში, ეს კი, თავის მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენს ცხოვრებაში, რადგან მშვიდობისა და სიყვარულის დამკვიდრებას ემსახურება.

შემდგომ წარმატებას ვუსურვებ თეატრის მთელ შესანიშნავ კოლექტივს ამ დიდი მისიის განხორციელებაში.

***ბიძინა კვერნაძე***

საქართველოში ბევრი კარგი ხელოვნების ტაძარია. ერთ-ერთი მათგანი ჩვენი საყვარელი გრიბოედოვის თეატრია. ეს თეატრი ყველასთვის საყვარელი მსახიობებით იყო დაკომპლექტებული. თეატრი რუსულენოვანია, მაგრამ რა შუაშია ეროვნულობა, მთავარია ხელოვნების სიმაღლე. ის ხომ ყველა ერს ერთმანეთთან აკავშირებს საოცრად დიდი კავშირით, რაც მარადიულია. რამდენი ქართული პიესა უთამაშიათ გრიბოედოვის თეატრში, რამდენი ჩვენ, ქართულ თეატრში, - რუსული.

აი, ახლაც ქართულ თეატრში იდგმება ჩეხოვის "ალუბლის ბაღი", რომელსაც დგამს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი.

ხელოვნება სულიერად აკავშირებს ადამიანებს და ეს კავშირი უდიდესია, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს. მე ვულოცავ ჩემს საყვარელ გრიბოედოვის თეატრს იუბილეს. იქ ხომ ყველა ჩემი მეგობარია!

*დიდი სიყვარულით,*
*სახალხო არტისტი*
***დოდო ჭიჭინაძე***

მეტეორივით შემოიჭრა გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან" საქართველოს ლიტერატურული ცის კაბადონზე. აღტაცებით მიიღო იგი საქართველოს პოეტურმა და თეატრალურმა საზოგადოებამ. მეტიც, სხვადასხვა დროს გამოჩენილ ადამიანთა ოჯახებში პიესა წარმატებით იდგმებოდა კიდეც. ისტორიას თავი დავანებოთ, იგი ვრცლადაა გაშუქებული პრესაში. მკითხველს მხოლოდ გავახსენებ იმ ფაქტს, რომ ოციან წლებში "რუსული თეატრის" ცხოვრებას თავისი მზიური ნიჭით ასხივოსნებდა ლეგენდარული გრიგოლ რობაქიძე (თეატრის ლიტნაწილის გამგე).

დღეს ახალ თაობას ჰაერივით სჭირდება მსგავსი მაღალი სულიერება, რომანტიზმი და ჰეროიკა - გარანტია "ტრანსცენდენტული ჯანმრთელობისა" (ნოვალისი).

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია ალექსანდრე გრიბოედოვის პიესასთან ("ვაი ჭკუისაგან") ერთად რუსულ სცენაზე გრიგოლ რობაქიძის რომან-პოემა-ესეს "გრაალის მცველნის" დადგმა (არსებობს ცნობილი გერმანისტისა და პოეტის სერგო ოქროპირიძის რუსული თარგმანი გერმანულიდან).

***ანზორ გველესიანი***
*ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი*

ვულოცავ გრიბოედოვის სახ. თეატრს შესანიშნავ იუბილეს. 160 წელი არსებობისა - ეს უკვე თარიღია თეატრისთვის. ის, რომ რუსული აკადემიური თეატრი არსებობს საქართველოს დედაქალაქში, ეს ბევრის მთქმელია. მე ვამაყობ, რომ ჩვენს შორის ასეთი მეგობრობა არსებობს. თუნდაც ის ფაქტი, რომ დედამ - ვერიკო ანჯაფარიძემ ითამაშა სპექტაკლი კასონის "ხეები ზეზეურად კვდებიან" გრიბოედოვის თეატრის სცენაზე, ძალიან ბევრის მთქმელია. ეს ტრადიციები ჩვენ უნდა განვავრცოთ. თვითონ გრიბოედოვის თეატრი ყოველთვის გამოირჩეოდა შესანიშნავი მსახიობებით, ისეთებით, როგორებიც იყვნენ: სატინა, სმირანინი, მიუფკე, ლუსპეკაევი, გომიაშვილი, შევჩუკი, შესანიშნავი ნატალია ბურმისტროვა. სხვათა შორის, არჩილ გომიაშვილმა ითამაშა მარჯანიშვილის თეატრში დედასთან ერთად "მარგარიტა გოტიეში" არმანი. ბევრი თბილი სიტყვა შეიძლება ითქვას ამ თეატრის მიმართ, მაგრამ დღეს მე მათ მხოლოდ ვულოცავ, გულით ვულოცავ და მარადიულ სიცოცხლეს ვუსურვებ!

*პატივისცემით*
***სოფიკო ჭიაურელი***

## ტელეხიდი

ირმა კახურაშვილი

გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი 160 წლისთავს პომპეზურად აღნიშნავს. 30 ოქტომბერს სეზონი "ჰოლივუდურ" სტილში გაიხსნება - თეატრში საპატიო სტუმრები წითელი ხალიჩის გავლითა და საორკესტრო ჰანგების თანხლებით შებრძანდებიან. თეატრის ფასადი უკვე მოირთო 1200-მეტრიანი ბანერით, რომელზეც ძველი შენობაა გამოსახული. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ "ახალი ამბების" დარბაზში მოწყობილი ვიდეოკონფერენციაც, რომელმაც აქაური და მოსკოვში მოღვაწე თეატრალური მსახიობები ერთმანეთს დააკავშირა.

გრიბოედოვის თეატრალური დასის ყოფილი მსახიობების გარდა თბილისს ცნობილი კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები და მეცენატები ეწვევიან. თეატრის ამჟამინდელი ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ისინი ასეთ პომპეზურ დახვედრას ნამდვილად იმსახურებენ. იუბილეზე ჩამობრძანდებიან კირილ ლავროვი, არიადნა შენგელაია, დონატას ბანიონისი, რეჟისორი პეტრე ფომენკო, რუსული არისტოკრატიის წარმომადგენლები - მეცენატი თავადი ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი ლონდონიდან და პეტრე შერემეტიევი პარიზიდან. თბილისში სტუმრობის სურვილი ქართველი მაყურებლისთვის საყვარელმა მსახიობმა ალისა ფრეინდლიხმაც გამოთქვა, მაგრამ შემდეგ გეგმები შეეცვალა და სპექტაკლის გადადებაზე უარი ვერ თქვა.

გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელ ნიკოლაი სვენტიცკის განცხადებით, თეატრი მაქსიმალურად მოემზადა იუბილეს აღსანიშნავად: შეიქმნა დიდფორმატიანი ალბომი, სადაც თეატრისა და მისი მსახიობების უნიკალური ფოტოსურათები, პროგრამები და აფიშები შევიდა. რუსეთიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს სპეციალურად საიუბილეოდ დამზადებული ღვინო "ოჯალეშის" დაჭაშნიკების შანსიც მიეცემათ. განაწყენებული არც ადგილობრივი მაყურებელი დარჩება. წლევანდელ სეზონს სამი პრემიერა გაიმართება - 23 ოქტომბერს ბავშვებმა უკვე იხილეს სპექტაკლი "ჩიპოლინო", 28 ოქტომბერს თეატრის თაყვანისმცემლები "ხუთ საღამოს", საიუბილეო საღამოს გახსნამდე ერთი დღით ადრე, 29 ოქტომბერს კი ავთანდილ ვარსიმაშვილის დადგმით "ხანუმა ანუ პოემა ძველ თბილისზე"-ს იხილავენ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კულტურის სამინისტროსთვის გრიბოედოვის თეატრის საიუბილეო თარიღი ცნობილია, დასს ოფიციალური მილოცვა ჯერ არ მიუღია. "არადა, ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ხომ დიდ რუსულ სიტყვას ვემსახურებით. მართალია, ჩვენი მაყურებლის 85 პროცენტი ქართველია, მაგრამ, მოგეხსენებათ, საქართველოში 100-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს და რუსული თეატრი მათი ერთგვარი გამაერთიანებლის როლსაც თამაშობს," - განაცხადა ტელეხიდის დროს სვენტიცკიმ და თავის "გალმელ" კოლეგა ვლადიმერ ზელდერს ახალგაზრდა მსახიობების გაცვლის იდეა მიაწოდა. რუსეთის სახალხო არტისტმა იდეა მოიწონა, მაგრამ მოსალოდნელი ფინანსური პრობლემების შესახებაც შეახსენა (ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე 80-მდე რუსული თეატრი ფუნქციონირებს და პრაქტიკულად ყველას ფინანსური პრობლემები აქვს).

ასეა თუ ისე, დღესდღეობით გრიბოედოვის თეატრი ყველაზე "გასტროლირებადია", მისი სპექტაკლები რაიონებშიც კი ანშლაგით მიდის. რაც შეეხება პერმანენტულად გამძაფრებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, იმედია ეს თეატრალურ ცხოვრებაზე არ აისახება. თეატრი ყოველთვის იყო და დარჩება ოაზისად, სადაც ადამიანს ყოფითი პრობლემებისგან და პოლიტიკური ვნებებისგან დასვენება შეეძლო.

## TV5-ის პროგრამა

**31 ოქტომბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.00** დემოკრატია და თავისუფლება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. ტუნიზი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ოქროს ციებ-ცხელება. მხ ფილმი. რეჟისორი ჟერარ ური. 1993. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **24.25** ორფე ნეგრო. მხ ფილმი. რეჟისორი მრსელ კამიუ. 1959. 04.20. დღეები და ღამეები. ტელესერიალი.

**1 ნოემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.05** (შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** თვითნებური გმირი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** წვიმის სეზონი. მხ ფილმი. რეჟისორი ენრიფრანსუა იმბერი. 1999. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** საიდუმლო ხელისუფლება. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. თუნიზი. **04.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

**2 ნოემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: გურმანი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ბნელი ღამე. მხ. ფილმი. რეჟისორი ალენ ტასმა. 2005. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** არაბეთის სურნელი. დოკ. ფილმი. **23.00** გადაცემა: გიწვევთ სამოგზაუროდ. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.15** საიდუმლო ხელისუფლება. დოკ. ფილმი. **04.20** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი.

**3 ნოემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** ორი წლის შემდეგ. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სპილბერგის თავგადასავალი. დოკ. ფილმი. **20.25** შენსავით დიდი გოგო. მხ. ფილმი. რეჟისორი კრისტოფ ბლანი. 2002. **22.05** აკუსტიკა. ზენაბარი. **24.25** მატყუარები. მხ ფილმი. რეჟისორი ბარბერ შროდერი. 1984. **04.20** ასე ლამაზი ჭექა-ქუხილი. მხ ფილმი. რეჟისორი ვერეჰი. 1994.

**4 ნოემბერი**

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** არაბეთის სურნელება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **13.30** შემოდგომა, ზამთარი 2005-2006. პარიზი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** მშვიდად სიყვარული. მხ ფილმი. რეჟისორი ედუარდ მოლინო. 1985. **24.30** ცხოვრება. მხ ფილმი. რეჟისორი ელიზაბეტ რაპენო. 2005. **03.00** თვითნებური გმირი. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

**5 ნოემბერი**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი ან ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა: ბიდუმ-ბიდუმ. **10.25** პლანეტის 7 დღე. **12.15** ცხოვრება. მხ ფილმი. რეჟისორი ელიზაბეტ რაპენო. 2005. **13.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **16.30** გადაცემა: ჩვენი სპეციალური კორესპოდენტი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ჟანო სტრაკერი. მუსიკის გაკვეთილი. **20.25** ელიოზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **22.50** რაგბი. საფრანგეთი-ავსტრალია. **24.25** კლარა შელერი. სერიალი. რეჟისორი რენო ბერტრანი. 2005. **04.20** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

**6 ნოემბერი**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), **03.50** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი, ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** ბიდუმ-ბიდუმ საბავშვო გადაცემა. **12.15** არაბეთის სურნელი. დოკ. ფილმი. **14.05** არტ რეპორტაჟი. **16.25** კლარა შელერი. სერიალი. რეჟისორი რენო ბერტრანი. **19.05** გადაცემა: კიოსკი. **20.25** ევროპა1-ისა და **TV5**-ის დიდი შეხვედრა. **21.20** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა. ჟერომ პაპენთან ერთად. **03.00** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს.

ყურადღება!
რესტორანი
„დაკარგული სამოთხე''
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207